


**სბრძნელ-ეკონომიკური  
მაცნეორებელი  
და  
ტექნოლოგიური**

**№2**



**თბილისი  
2017**

ბირსრულ-ეკონომიკური  
მაცნეობების  
და  
ტექნოლოგიები



ISSN 1987-6335

**პირაგულ-ეკონომიკური  
მასშიერება და ტექნილოგიები**  
2017 №2 (35)

საერთაშორისო სამეცნიერო-  
გეთოდოლოგიური და პრაქტიკული,  
ყოველყოფართალური რეზერიჩუალი  
ჟურნალი

**Agrarian-economic  
Science and Technologies**  
2017 №2 (35)

International Scientific-  
Methodological and Applied,  
Quarterly Referenced Journal

2017 №2 (35)

ერთა დაფუძნებისა და გამოცის  
2008 წლიდან. ყოველკვარტალურად

**Journal was Founded in 2008  
and is issued quarterly**

599-22-75-50

E-mail: areal 55555@gmail.com  
www. gaas.dsl.ge

**თბილისი- Tbilisi  
2017**

## **ომარ ქეშელაშვილი**

**სარედაქტო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.**

### **სარედაქტო-სამეცნიერო საბჭო:**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: გ.ალექსიძე, ნ.ბალათურია, ჯ.გუგუშვილი, ჯ.გაციგაძე, პ.კოლუაშვილი, თ.კუნჭულია, გ.მარგველაშვილი, რ.მახარობლიძე, ნ.ქარქაშაძე, ნ.ჩხარტიშვილი, ე.შაფაქიძე, ზ.ცქიტიშვილი, გ.ჯაფარიძე.

### **სარედაქტო-სამეცნიერო საბჭოს უცხოელი წევრები:**

პროფესორები: მარტინ აპენბრიკი (გერმანია), სერგი კაზარიანი (სომხეთი), იან პიგული (პოლონეთი), ალექსეი სიზონოვი (უკრაინა), ჩახა ჩაკი (უნგრეთი), პანორმირ ცენოვი (ბულგარეთი), სადიგ სალახოვი (აზერბაიჯანი), გალიბ გაჯიევი (აზერბაიჯანი).

### **საგამომცემლო-სარედაქტო კოლეგია:**

დ.ეგიაშვილი-მთავარი რედაქტორის მოადგილე, აკადემიური დოქტორი, ე.შაფაქიძე-შმე აკადემიის აკადემიკოსი, ა.მესხიშვილი-აკადემიური დოქტორი, ნ.დამენია-აკადემიური დოქტორი, მ.ჩავლეიშვილი-აკადემიური დოქტორი.

### **O. Keshelashvili**

**Editor-in-chief and Head of Editor-Scientific Board; Doctor of Economic Sciences; Professor; Academician of the Academy of Agricultural Sciences**

### **Editorial-scientific Board:**

Academicians of the Academy of Agricultural Sciences: G.Aleksidze, G. Baghaturia, J.Gugushvili, G.Margvelashvili, R. Makharoblidze, N. Karkashadze, J. Katsitadze, P.Koguashvili, T.Kunchulia, N. Chkhatishvili, Z.Tskitishvili, E.Shapakidze, G. Japaridze.

### **Foreign members of Editorial-Scientific Board:**

professors: Martin Apenbreke (German); Sergi Kazarian (Armenia); Aleksei Sizonov (Ukrain); Chaba Chaki (Hungary), Ian Piculi (Poland), Panomir Tzenov (Bulgaria), Sadig Salakhov (Azerbaijan), Galib Gadjev (Azerbaijan),

### **Publishing Board**

**D.Egiashvili-Deputy editor, Academic doctor, E.Shapakidze- academician, A.Meskishvili-Academic doctor N.Damenia-Academic doctor, M. Chavleishvili-Academic doctor.**

# 1. ეკონომიკა და ბიზნესი

---

გარემოს დაცვისა და  
ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური  
რეგულირება

ომარ ქეშელაშვილი-  
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს სოფლის მეურნობის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

**რეფერატი**  
(ინტერნეტული ვერსია)

ეპოლოგიურ წონასწორობაზე მსჯელობისას გამოკვეთილად უნდა  
ითქვას, რომ რეალურად, ბუნებაში, ორი კლასიკური შემთხვევა გვხვდება:

ერთია ის, რომ ეპოლოგიურ სისტემას თვითრეგულირების მექა-  
ნიზმი გააჩნია, რომლის ძალითაც და ბუნების კანონებისა და წესების შესა-  
ბაძისად თავისთავად მყარდება ეპოლოგიური წონასწორობა, და ადამიანის  
ჩარევა ზელისშემსრულებლი და ზედმეტი ხდება;

მეორეა ის, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით და  
ბიოლოგიურ, ქიმიურ, ფიზიკურ და სხვა პროცესებში ადამიანის ჩარევის  
შედეგად ხდება ზოგიერთ პოპულაციათა სიხშირისა და მოქმედების ინტე-  
ნიციანობის ხარისხის, ბუნების საქმითი წესრიგიდან არასასურველი გადახრა,  
რაც არღვევს ეპოლოგიურ წონასწორობას და მის აღსაღენად თხოულობს  
ადამიანის ზელმეორედ ჩარევას (დაზმარებას).

დასტურდება და საკითხი დგება იმის შესახებ, რომ ამჟამად, საბა-  
ზრო ურთიერთობათა მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეკონომიკური პრობლე-  
მების გადაწყვეტა გამნელებულია ბუნებათსარგებლობის მარეგულირებელი  
და მიკროზონალური პირობების შესაბამისი, დიფერენცირებული ღონისძიე-  
ბების, ერთიანი, ინტეგრირებული სისტემის სახით რეალიზაციის გარეშე,  
ამასთან, ასევე არარეალურია ბუნებათსარგებლობისა და ბუნების დაცვის  
პრობლემების გადაწყვეტა შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმისა და სტიმუ-  
ლირების მომარჯვების გარეშე.

ახსნილია, რომ რომ მეცნიერების მიღწევები საშუალებას გვაძლევს მრავალვარიანტული გადაწყვეტის პირობებში დავადგინოთ: ბუნებრივი რესურსების თითოეული ელემენტის ამა თუ იმ დასაშვები ინტენსივობით გამოყენების არეალი და დონე; მცენარეთა მავნე ორგანიზმების მავნეობის ეკონომიკური ზღვრები და მათთან ბრძოლის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები; სხვადასხვა სპეციფიკის ეკოლოგიური წონასწორობის მოდელები, შეზღუდვები, გამართლებული ვარიაციები, პროგნოზული პარამეტრები და სხვ.

ამ მონაცემებისა და მეცნიერული მასალის სისტემატიზებასა და განზოგადებას და მათ საფუძვლებზე ეკოლოგიურ-ეკონომიკური სქემების, ბა-დების, ზღვრებისა და ნორმატივების დადგენას უდიდესი მეცნიერული და გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს.

დასტურდება, რომ ბუნებათსარგებლობისა და ეკოლოგიური წონასწორობის პრობლემა მსოფლიო გლობალურ პრობლემას წარმოადგნს და იგი ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად და ამასთან მისივე მოთხოვნებით, გადაჯაჭვულია ეკონომიკის პრობლემებთან, რაც ურთიერთინტეგრირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და კომპლექსური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს, რაშიც ჩართული უნდა იყენენ სხვადასხვა დარგის მეცნიერები და პრაქტიკული მოღვაწენი. ამას კი, გამართული და ურთიერთშეჯერებული, ეკოლოგიური და ეკონომიკური მექანიზმები და ერთიანი, პროგრესულ ტექნოლოგიებზე აგებულ-დაფუძნებული მენეჯმენტი სჭირდება.

**თანამედროვე ეტაპზე,** მსოფლიო გლობალიზაციის საერთო სისტემაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეკოლოგიური წონასწორობის ეკონომიკური ასპექტები, რადგანაც, თუ ბუნებაში შენარჩუნებული არ იქნება ეკოლოგიურ ელემენტთა პოპულაციის სიხშირე და ხარისხი, გავრცელების მასშტაბები და არეალი, ურთიერთ და შიდა წონასწორობის ფარგლები და ზღვრები, ბუნებათსარგებლობის საკალებებულო და სამართლებრივად დაკანონებული მოთხოვნები, ისე დარღვეული იქნება სიმეტრია და პარმონიულობა ბუნებაში და ამდენად, ვერც ბუნებათსარგებლობის საერთო სისტემა და წესი იქნება დაცული, რაც ყველაზე ნიშანდობლივად სოფლის მეურნეობაში ვლინდება. სწორედ ამ სფეროშია თავმოყრილი ბუნებათსარგებლობის ძრითადი არსენალი-მიწისა და წყლის რესურსების, კლიმატის, ფლორისა და ფაუნის გამოყენების სახით, და ამდენად, მიუღწეველი დარჩება ეკონომიკის გარანტირებული, სტაბილური და უსაფრთხო განვითარების ამოცანა.

სოფლის მეურნეობაში საერთოდ შეუძლებელია საწარმოო სტრუქტურების ფუნქციონირება:

- თუ გამოყენებული არ იქნება:
1. მიწის რესურსები;
  2. ნიადაგურ-კლიმატური პირობები;
  3. ფლორისა და ფაუნის შესაბამისი სპექტრი-სასოფლო-სამეურნეო
  4. კულტურები და პირუტყვი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გამოყვანილი, ბუნებრივი გარემოსადმი მორგბეული ჯიშებითა და პიბრიდებით;
  5. წყლის რესურსები;
  6. ჭაობი ადგილები;
  7. გრუნტის წყლები;
  8. მიწის თერმული რესურსები და სხვა.
- თუ არ გატარდა მცენარეთა და ცხოველთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, სარეველა მცენარეების, ფიტოფლორის, ენტოფაუნისა და სხვა მავნე ორგანიზმების სიხშირის დასაშვები ზღვრების გათვალისწინებით.

საზგანმით უნდა ითქვას, რომ ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა, ფართო გაგებით კი სწორი ბუნებათსარგებლობა, განშაზღვრელ პოზიციად გვევლინება ეკონომიკის განვითარებასთან მიმართებაში,

ეკოლოგიურ წონასწორობაზე მსჯელობისას გამოკვეთიდლად უნდა ითქვას, რომ რეალურად, ბუნებაში, ორი კლასიკური შემთხვევა გვხვდება:

ერთია ის, რომ ეკოლოგიურ სისტემას თვითრეგულირების მექანიზმი გააჩნია, რომლის ძალითაც და ბუნების კანონებისა და წესების შესაბამისად თავისთავად მყარდება ეკოლოგიური წონასწორობა, და ადამიანის ჩარევა ხელისშემლელი და ზედმეტი ხდება;

მეორეა ის, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით და ბიოლოგიურ, ქიმიურ, ფიზიკურ და სხვა პროცესებში ადამიანის ჩარევის შედეგად ხდება ზოგიერთ პოპულაციათა სიხშირისა და მოქმედების ინტენსივობის ხარისხის, ბუნების საერთო წესრიგიდან არასასურველი გადახრა, რაც არღვევს ეკოლოგიურ წონასწორობას და მის აღსაფეხად თხოვლობს ადამიანის ხელმეორედ ჩარევას (დახმარებას).

ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს სოფლის მეურნეობაში. მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ მცენარეთა მავნე ორგანიზმების (მღრნელები, კალიები, ტკიბები, სოკოები და სხვ.) არასასურველად ინტენსიური გამრავლება და ფართო არეალზე მოდება, ეროზიული და დაჭაობების პროცესები, მეწყერები, ღვარცოფები, წყლისა და ჰაერის დაბინძურება, ნიადაგის ფიზიკო-ქიმიური თვისებების გაუ-

არესება და სხვ. ეს ცვლილებები და გადახრები ადამიანის გააზრებული და დასაბუთებული ჩარევის გარეშე არ აღმოიფხვრება და დიდ ზიანს მიაყენებს როგორც სოფლის მეურნეობას, ისე ეკოლოგიურ გარემოს.

ამრიგად, დასტურდება და საკითხი დგება იმის შესახებ, რომ ამჟამად, საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა გაძნელებულია ბუნებათსა-რებლობის მარეგულირებელი და მიკროზონალური პირობების შესაბამისი, დიფერენცირებული ღონისძიებების, ერთიანი, ინტეგრირებული სისტემის სახით რეალიზაციის გარეშე, ამასთან, ასევე არარეალურია ბუნებათსარგებლობისა და ბუნების დაცვის პრობლემების გადაწყვეტა შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმისა და სტრუქტურების მომარჯვების გარეშე.

აღნიშვნულ ფორმულირებაში განსაკუთრებით საყურადღებოა საკითხი ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მხარის შესახებ. ლოგიკურია, რომ ბუნებრივი გარემო ქმნის საერთო ფონს ეკონომიკის განვითარებისათვის, ვთქათ, კონკრეტულად, სასიფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, მაგრამ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების ოპტიმიზაციის თანამედროვე შესაძლებლობებმა რეალური პირობები შექმნა, რათა ბუნებათსარგებლობის სისტემა ეკონომიკის მარეგულირებელ მექანიზმს დაყრდნობიდა.

ეს მირითადად იმას ნიშნავს, რომ მეცნიერების მიღწევები საშუალებას გვაძლევს მრავალვარიანტული გადაწყვეტის პირობებში დავადგინოთ: ბუნებრივი რესურსების თითოეული ელემენტის ამა თუ იმ დასაშვები ინტენსივობით გამოყენების არეალი და ღონებ; მცენარეთა მავნე ორგანიზმების მავნეობის ეკონომიკური ზღვრები და მათთან ბრძოლის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრები; სხვა-დასხვა სპეციფიკის ეკოლოგიური წონასწორობის მოდელები, შეზღუდვები, გამართლებული ვარიაციები, პროგნოზული პარამეტრები და სხვ.

ამ მონაცემებისა და მეცნიერული მასალის სისტემატიზებასა და განზოგადებას და მათ საფუძველზე ეკოლოგიურ-ეკონომიკური სქემების, ბადეების, ზღვრებისა და ნორმატივების დადგენას უდიდესი მეცნიერული და გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს.

სოფლის მეურნეობაში ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებას, რომელიც უკავშირდება მცენარეთა მავნე ორგანიზმების მავნეობის ეკონომიკური ზღვრებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის

მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრების დადგენას. ეს ნიშნავს იმის გარკვევას, თუ როდის ექნება ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლება, მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლას, მათი გავრცელების კონკრეტული ხარისხის პირობებში ისე, რომ იგი მიზანშეწონილი იყოს, როგორც ბიოლოგიური, ისე აგრონომიული თვალსაზრისითაც.

ამ მიზნით, ჩვენ შემოვიდეთ ფორმულა: მ=(დ.2): ფ, სადაც მ-არის მავნე ორგანიზმების მავნეობის ეკონომიკურად საზიანო ზღვრის პირობებში მათ წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად შენარჩუნებული მოსავლის დონე (ც/ჰა); დ-მცენარეთა დაცვის ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები (ლარი/ჰა); ფ-პროდუქციის სარეალიზაციო ფასი (ლარი).

ვაზის მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის მიზანშეწონილობის ეკონომიკური ზღვრების დადგენის ერთ-ერთ შემთხვევას თუ განზოგადებულ მაგალითად გამოვიყენეთ, ირკვევა, რომ მავნე ორგანიზმების გავრცელების ეკონომიკურად საზიანო ზღვრის შემთხვევაში, მათ წინააღმდეგ ბრძოლას, იმ პირობებში, როცა ამისათვის გამართლებული ქიმიური თუ ინტეგრირებული მეთოდების გამოყენებისას 1 ჰა-ზე 55 ლარი იხარჯება და 1 ც. პროდუქციის სარეალიზაციო ფასი 50 ლარია, გამართლება აქვს თუ შენარჩუნებული მოსავლის მინიმალური დონეა 2.2 ც/ჰა. სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში და სხვადასხვა კულტურისათვის ეს დონე შეიძლება დიდ ფარგლებში მერყეობდეს და ზოგან 1.5-3.0 ც/ჰა, 4.0-6.0 ც/ჰა, 7.0-9.0 ც/ჰა შეადგენდეს და ა.შ.

აღნიშნული ზღვრებისა და მის საფუძველზე აუცილებელი ეკონომიკური და ბუნებისდაცვითი ნორმატივების დადგენა საშუალებას გვაძლევს მეცნიერულად დასაბუთებულად მივუდგეთ ეკოლოგიური წონასწორობის გლობალურ პრობლემას, ვარეგულიროთ მისი ბიოეკონომიური მახასიათებლები და შევიმუშაოთ სტრატეგიულ ღონისძიებათა სისტემა. ამ სისტემაში, მეცნიერული მიღწევების თანამედროვე ეტაპზე, მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის დროს პრიორიტეტი ენიჭება ინტეგრირებულ მეთოდებს, თუმცა ქიმიური და ბიოლოგიური მეთოდების ურთიერთშეთანაწყობილი გამოყენებაც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და იგი უნდა ეყრდნობოდეს ყოველნაირად დასაბუთებულ გათვლებსა და აპრობირებულ რეკომენდაციებს.

ეკოლოგიური წონასწორობის ეკონომიკური ასპექტების გაშუქებისას წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, რომ მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების არასწორი გამოყენებით შეიძლება მოხდეს ბუნების დაბინძურება და ამით ზიანი მიადგეს მას.

მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ქიმიური საშუალებების გამოყენების ნეგატიური ეკოლოგიური შედეგები, უწინარეს ჭოვლისა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში, წყალსა და ჰაერში ნიტრატებისა და ნიტრიტების, ფტორის, რადიოაქტიური ელემენტების, მძიმე მეტალებისა და სხვა ტოქსიკური ნივთიერებების დაგროვებაში, პერსისტენტული პესტიციდების გლობალურ მიგრაციასა და ეკოლოგიურ სისტემებში აკუმულაციაში ვლინდება, რაც ადამიანსა და ცხოველებში ტოქსიკურ მოქმედებას იწვევს. ასეთია ქიმიზაციის მთელი (თუმცა არასრული) უარყოფითი შედეგები, რაც უდავოდ საყურადღებო და გასათვალისწინებელია და გონივრულ ჩარევასა და რეაგირებას საჭიროებს.

თუმცა ბოლომდე ნუ გავყვებით ამ პესიმისტურ თვალსაზრისს და უნდა ითქვას, რომ ქიმია ორლესული იარაღია. კარგი და ჭიკვიანი მუურნის ხელში ქიმიური საშუალებები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შეუცვლელი ფაქტორია და მისი, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების საფუძველზე გამოყენებით ბუნებაში რეგულირდება მცენარეთა მავნე ორგანიზმები, ნიაღაგსა და მცენარეში—ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური პროცესები და იგი მთელ ეკოლოგიურ სიტუაციაზე უაღრესად დაღებით გავლენას ახდენს, ამასთან, მეურნეობრიობის უკონომიკური მექანიზმის მთლიან სისტემაში ქიმიური საშუალებების გამოყენება წარმოების ტექნოლოგიის დანარჩენ ელემენტებთან ურთიერთკავშირში უნდა რეგულირდებოდეს.

ეკოლოგიურ-ეკონომიკური გააზრებით, ქიმიის გარეშე, როგორც თანამედროვე, ისე მომავალი მიწათმოქმედება წარმოუდგენელია. მთავარია მისი პოტენციალის გამოყენება წარგმართოთ ისე, როგორც აუცილებელია ჩვენთვის, ანუ რომლის დროსაც დაცული იქნება, როგორც ეკოლოგიის, ასევე ეკონომიკის სტრატეგიული მოთხოვნები და ინტერესები.

აღნიშნულის გარდა ბუნებათსარებლობის ეკონომიკური პრობლემების საერთო სისტემაში დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ისეთი საკითხების კვლევასა და გადაწყვეტას, როგორიცაა:

1. მიწის რესურსების ეკონომიკური შეფასება და რაციონალური გამოყენება, ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოვლა-მოყვნის პირობებში;
2. სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური, ბუნების

დაცვითი როლის სპეციალიზაცია და შეთანაწყობა და მისი საკურორტო და ტურისტულ მეურნეობასთან ინტეგრირებული ოპტიმიზაცია;

3. სასოფლო-სამურნეო წარმოებისათვის წყლის რესურსების გამოყენების რაციონალიზაცია;

4. აგრარულ სექტორში, ბუნებისდაცვითი როლის ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების გამოყენების რეგულირება, მ.შ. დიფერენცირებული ფასწარმოქმნის მექანიზმის შემუშავება;

5. ეროზირებული და რეკულტივირებული მიწების აღდგენისა და გამოყენების ეკოლოგიურ-ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება;

6. დაჭაობებული მიწების ათვისებისა და მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების, ბუნებისდაცვითი როლის ეკონომიკური ღონისძიების შემუშავება;

7. ზონალური და მიკროზონალური კლიმატური პოტენციალის გამოყენების ეკონომიკური პარამეტრებისა და შესაბამისი რეკომენდაციების დამუშავება, სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით;

8. ბიოტექნოლოგის დანერგვის მასშტაბებისა და ეკონომიკური დასაბუთებულობის დიფერენცირებული დონეებისა და ზღვრების დაგენა და სხვ.

ყველა ამ პრობლემის შესწავლა და გადაწყვეტა უშუალოდ უკავშირდება ეკოლოგიური წონასწორობის დაცვისა და შენარჩუნების მსოფლიო გლობალურ ამოცანას.

როგორც ჩანს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დღევანდელმა ეტაპმა, შექმნა იმის შესაძლებლობა და აუცილებლობა, რომ საფუძველი ჩაყროდა ახალ მეცნიერულ მიმართულებას, ეკოლოგიური წონასწორობის ეკონომიკის შესახებ, რაც ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპტიმიზაციის ამოცანების რეალიზაციას ეფუძნება.

ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული პრობლემების მოგვარება, ნიშანდობლივ და სპეციფიკურ ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ასპექტებთან ერთად გარდაუვლად უკავშირდება ისეთ მნიშვნელოვან სფეროს, როგორიცაა ეკოლოგიური სამართალი. სწორედ ამ უკანასკნელმა უნდა შექმნას ის მყარი სამართლებრივი ბაზა, რამაც უნდა შეასრულოს ერთი მხრის გარანტის როლი და მეორეს მხრივ იურიდიულად არეგულიროს ქვეყნის ეკონომიკურად დასაბუთებული ეკოლოგიური სტრატეგია, პასუხისმგებლობის შესაბამისი ნორმების გამოყენებით.

ამრიგად, როგორც ჩანს, ბუნებათსარგებლობისა და ეკოლოგიური წონასწორობის პრობლემა მსოფლიო გლობალურ პრობლემას წარმოადგენს და იგი ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად და ამა-

სთან მისივე მოთხოვნებით, გადაჯაჭვულია ეკონომიკის პრობლემებთან, რაც ურთიერთინტეგრირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და კომპლექსური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს, რაშიც ჩართული უნდა იყვნენ სხვადასხვა დარგის მეცნიერები და პრაქტიკოსი მოღვაწენი. ამას კი გამართული და ურთიერთშეჯერებული, ეკოლოგიური და ეკონომიკური მექანიზმები და ერთიანი, პროგრესულ ტექნოლოგიებზე აგებულ-დაფუძნებული მენეჯმენტი სჭირდება.

## Economic Regulation of Environment Protection and Nature-use

**O. Keshelashvili**

Doctor of Economic Sciences, professor,  
Academician of the Georgian Academy  
of Agricultural Sciences.

### Abstract

(Internet Version)

Considering present market demands, it seems unfeasible to solve economic problems without implementation of integrated systems of regulated and differentiated measures of land use. Furthermore, it is not realistic to address the problems of nature use and protection without applying proper economic mechanisms and stimulation. The article suggests that scientific achievements give opportunity to identify to what extent the elements of nature could be used and at what level. The spread of harmful organisms and the measures to fight against them should be estimated; Different models of ecological balance, restrictions, best versions and prognosis should be considered.

# აგრობიზნესის განვითარების ზოგიერთი საკითხი

თ.ლაჭუპიანი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

დ.ბაიდაური

ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი,

ლ.ბაიდაური

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

## რეფერატი

(ინტერნეტული ვერსია)

სტატიაში განხილულია აგრობიზნესის არსი. მისი, როგორც სპე-  
ციფიკური სფეროს განვითარების ისტორია, აგრარიკოს მეცნიერთა  
მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით. გამოთქმულია ავტორთა  
აზრი საქართველოში აგრობიზნესის განვითარების მიმართულებით.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებს  
თან ახლდა აგრობიზნესის ტრანსფორმირება. შეიცლა სოცი-  
ალურ ურთიერთობათა ხასიათი, წინა პლანზე გამოდის მეუ-  
რნეობრიობის კერძო ფორმების განვითარება.

აგრობიზნესი მოიცავს წარმოების, გადამუშავების, შენახვის,  
ტრანსპორტირებისა და საბოლოო მომხმარებლამდე მიწოდე-  
ბის სფეროებს. ხელს უწყობს ბაზრის პირობებში მაღალ  
კონკურენტულ ეკონომიკურ ურთიერთობებს. იგი გამოხატავს  
ქვეყნის ინტერესებს სასურსათო უსაფრთხოებისა და მისი  
მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

საბაზრო რეფორმებმა, საქართველოს სოფლის მეურნეობაში  
ვერ უზრუნველყო ინსტიტუციური გარდაქმნები და საწარმოო  
ძალთა მოდერნიზაცია. თავისთავად, აგრობიზნესის განვითა-  
რება უნდა მოიცავდეს ისეთ პროცესებს, როგორსაც მთელი  
ეკონომიკისა, საჭიროებს აგრეთვე სასურსათო პოლიტიკის  
სრულყოფას და მსოფლიო ბაზარზე საქართველოს პოზიციის  
განმტკიცებას.

აგრობიზნესი შესაძლებლობას აძლევს მცირე, საშუალო და  
მსხვილ ბიზნესს, გამოავლინოს თავისი პოტენციალი, მაღა-

ლრენტაბელური პროდუქციის წარმოებასა და კონკრეტული უპირატესობების მიღწევაში. ამას ადასტურებს საზღვარგარეთის ქვეყნების გამოდილება. ჩვენს ქვეყანაში კი აგრობიზნესმა ეკონომიკურ ურთიერთობათა საერთო სისტემაში ჯერ ვერ დაიკავა სათანადო ადგილი.

სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობისადმი გამოჩენილი ყურადღება და მხარდაჭერა მოითხოვს აგრობიზნესის მხრივაც განსაკუთრებულ მიდგომას, რომლისთვისაც დამახასიათებელია სასოფლო სამეურნეო წარმოების სპეციფიკური თავისებურებები.

უკანასკნელ ხანს, იზრდება აგრობიზნესის მნიშვნელობა რაც მოითხოვს შესაბამისი ეკონომიკური პირობების, მისი პოტენციალის საკითხების შესწავლას.

აგრობიზნესის მეცნიერული გამოკვლევა ხორციელდება შედარებით მცირე დროში და მოიცავს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რეფორმებსა და რეფორმის შემდგომ პერიოდებს.

ტერმინის „აგრობიზნესის“ შემოღების შემდეგ ეკონომიკურ მეცნიერებაში სწორედ ეს ცნება გახდა შესწავლის ძირითადი ობიექტი. უნდა აღინიშნოს, რომ იგი შემოიღო ამერიკელმა მეცნიერმა რ. გოლდბერგმა, გასული საუკუნის 60-იან წლებში. სხვადასხვა ქვეყანაში აგრობიზნესის განვითარების თეორიული გამოცდილება, ანალიტიკური მიმოხილვა, სტატისტიკური კვლევა და საკითხებისა და პრობლემების გადაწყვეტა თავის გამოხატულებას პოულობს მრავალ სამეცნიერო შრომაში, მონოგრაფიასა და სტატიაში. დასავლეთის ეკონომისტთა კვლევებზე დაყრდნობით საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებაში მოცემულია აგრობიზნესის თეორიული დასაბუთება. გამოქვეყნებულ მრავალ სამეცნიერო შრომაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული, მეთოდოლოგიასა და ტერმინოლოგიას შესახებ. ზოგი, მას სასოფლო-სამეურნეო მეწარმეობას მიაკუთვნებს, სხვები კი ახასიათებენ, როგორც რთულ სტრუქტურულ ელემენტს თავისი დასახასიათებელი თვისებებით. აგრობიზნესის თანამედროვე კვლევები მწვავე დისკუსიური ფორმის ხასიათს ატარებს, რაც დამახასიათებელია საქართველოს ეკონომიკური აზროვნებისათვის,

რომელიც სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანისაკენ არის მიმართული.

ეკონომიკურ თეორიაში აგრობიზნესი განიხილება, როგორც საერთო ცნების „ბიზნესის“ ერთ-ერთი სახეობა. ბიზნესი შეიძლება იყოს ავიამშენებლობის, ტრანსპორტის, აგრარული და ა.შ. ამიტომ, აგრობიზნესის ცნება გამომდინარეობს „ბიზნესის“ ცნებიდან. „აგრობიზნესი“ სოციალურ-ეკონომიკური, ინსტიტუციონალური, სამართლებრივი და პოლიტიკური ცვლილებების დროს არ საჭიროებს განსაკუთრებულ შესწავლას. აგრობიზნესის მრავალვარიანტულობა იწვევს მისი სწორად ჩამოყალიბების აუცილებლობას.

აგრობიზნესის შესწავლის საწყის ეტაპზე ეკონომიკურ მეცნიერებაში გამოიყენებოდა ისეთი ცნება როგორიცაა „მეწარმეობა“, რომლის განმარტებაც XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში მოგვცა კანტოლონმა. სამეწარმეო საქმიანობის წყაროებად იგი თვლიდა მიწას და შრომას. სხვა ცნობილი ეკონომისტები ჟ. სეი, ა.სმიტი, დ.რიკარდო დიდ ყურადღებას აქცევდნენ ასევე წარმოების ფაქტორების გამოყენებას.

XX საუკუნეში ჩამოყალიბდა ცნება „აგრობიზნესი“ რომელსაც ჰქონდა მრავალი განმარტება. ეს ტერმინი 1955 წ. შემოიღო ჰარვარდის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორმა ჯ. ჯეისმა. მისი აზრით აგრობიზნესი წარმოადგენს პროდუქციის წარმოებისა და განაწილების ოპერაციათა ერთობლიობას, რომელიც საჭიროა ფერმერული მეურნეობის აუცილებელი მომარაგებისათვის, აგრეთვე დარგების ერთობლიობას, რომლებიც აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტრანსპორტირების, შენახვის, გადამუშავებისა და განაწილებისათვის.

ვფიქრობთ, რომ ჯ. ჯეისის მიერ აგრობიზნესის განმარტება სრულად ვერ ხსნის მის მნიშვნელობას ეკონომიკურ თეორიაში, როგორც სპეციფიკურ ცნებას. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან შემოღებული ეს ცნება შემთხვევითი არ არის, რამდენადაც ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში და პირველ რიგში აშშ აქტიურად ვითარდებოდა ინტეგრაციული პროცესები, რომლებიც მოიცავდა ბიზნესის ყველა სფეროს.

შედარებით გვიან, 1968 წ. რ. გოლდბერგმა სცადა განეხილა აგრობიზნესი შედარებით მარტივი მნიშვნელობით, მიკრო-დონეზე. მისი აზრით აგრობიზნესი ანუ ვერტიკალური ინტეგრაცია ახასიათებს ფირმის ინტეგრატორის კონტროლს ორ ან რამდენიმე თანმიმდევრულ სტადიაზე. მიტრეისიმ რა-მდენადმე დააზუსტა აგრობიზნესის ცნება, როგორც „დარგთა ერთობლიობა“, რომლებიც „დინების ზემოთაა“ (აღმავალი), სოფლის მეურნეობის მიმართ ან მისი რესურსებით მომა-რაგებული დარგები და აგრეთვე „დინების ქვემოთ“ (დაღმა-ვალი)-გასაღები, გადამუშავება და გადანაწილება. მისი აზრით, აგრობიზნესი უზრუნველყოფს წარმოებას და პროდუქციის გადასვლას საქონელმწარმოებლიდან პირველად მომხმარებლა-მდე და შემდეგ ქვემოთ, მინიმალური დანახარჯებით.

მეცნიერთა გამოკვლევებმა საშუალება მოგვცა შეგვესწავლა აგრობიზნესის არსი. ჩვენთვის მისაღებია ა. ოსკინგის პოზიცია, რომელიც აგრობიზნესს განიხილავს, როგორც დარგების ან საწარმოების ერთობლიობას კი არა, არამედ როგორც კერძო პირების, საწარმოების ან ორგანიზაციების საქმიანობას, სა-ქონლის წარმოების, შექმნის, ან რეალიზაციის ან კიდევ გაცვლას სხვა საქონელზე-ფულზე, სოფლის მეურნეობაში დაინტერესებულ პირთა ან ორგანიზაციათა ურთიერთსარგე-ბლობის მიღების თვალსაზრისით.

სხვადასხვა ავტორი აგრობიზნესს სხვადასხვანაირად განმარტავს. ჩვენი აზრით აგრობიზნესის შესახებ ა. ხოსკინგსა და ბ. შაიტანის განმარტება შედარებით სრული და მართე-ბულია, რომელიც გვიჩვენებს არა მარტო ელემენტთა რაო-დენობრივ შემადგენლობას, მათ ურთიერთობას, არამედ ეკონომიკური საქმიანობის მიზნებს.

ჩვენი აზრით, აგრობიზნესი არ შეიძლება მხოლოდ სოფლის მეურნეობასთან გავაიგივეოთ, რამდენადაც ეს უფრო ფართო კატეგორიული ცნებაა. აგრობიზნესი: ეს არის ეკონომიკური საქმიანობის მიმართულება, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავს და კოორდინაციას უწევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, აუცილე-ბელი რესურსების მიწოდებას, ტრანსპორტირებას.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებული ქვეყანა საჭიროებს მთელი ეკონომიკის, მისი ცალკეული სფეროსა და დარგის სახელმწიფო რეგულირებას. ეს საზოგადოებრივი თვალსაზრისით გაპირობებულია შეფერხებული ფუნქციონირების აუცილებლობით. როგორც წესი, სახელმწიფო ეკონომიკაში ჩარევას ძირითადად ახორციელებს მაკორექტირებული და მასტიმულირებული საშუალებებით, ასევე განაწილებითი მექანიზმის რეგულირების გზით.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, აგრობიზნესი მეტად მნიშვნელოვანი სფეროა, რადგან იგი საზოგადოების ძირითად მოთხოვნილებათა და კმაყოფილებისავენაა მიმართული. აგრობიზნესი წარმოადგენს მსოფლიოს სასურსათო სისტემის განუყოფელ ნაწილს და მისი განვითარება დროსა და სივრცეში განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს.

## **Some questions on agrobusiness development**

**T. Lachkepiani**

Doctor of Economics

**D. Baidauri**

Doctor of Business Administration

**L. Baidauri**

Doctor of Agricultural Science

### **Abstract (Internet Version)**

Undertaken market reforms in Georgian market was not succeeded to provide optimum capacity and factorycapital repairs and modernization, which is important for national agricultural modern model, at least it concerns to agribusiness, as an economic development specific form. Agrobusiness developing must be a springboard of such process as a whole economic. Various forms of questions, in perfection of agrofoodpolitical (policy) in whole Georgian policy market.

## 2. სოფლის მაურნეობის გაძლიერების რეკომენდაციები

### Management Recommendations of Agriculture

---

**ეთიშვილის დამხაგვიანებელი მცხვენებები  
და მათთან ბრძოლა  
(გეოგრაფიული მითითებები)**

ი.სარჯველაძე-სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

**ქ**ეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მეცხვარეობას. იგი იძლევა ადამიანის არსებობისათვის აუცილებელ პროდუქტებს და მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულს. დარგში არსებული თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვთარების პერსპექტივები მოითხოვს მისი ხარისხობრივი რეორგანიზაციისათვის დღემდე განხორციელებულ ღონისძიებათა მნიშვნელოვან შეცვლას და ეფექტური მეთოდების გამოყენებას. მეცხვარეობის დარგის შემო-სავლის დონე განისაზღვრება არა მარტო პროდუქციის მაღალი ხარისხით, არამედ ცხვრის დიდი ნაყოფიერებითაც-ცოცხალი წონა, ნაპარისასა და მერძეულობის მაღალი დონით, რაც შრომის მცირე დანასარჯებით მიიღწევა.

მეცხვარეობაში პროდუქტიულობის გაზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წლის ყველა პერიოდში სრულფასოვან კვებას. დარგის დაბალი რენტაბელობა ძირითადად გაპირობებულია ზამთრის პერიოდში არადამაკმაყოფილებელი მოვლით და კვების დაბალი დონით, საძოვრების პოტენციური შესაძლებლობების არარაციონალური გამოყენებით. აქვე უნდა აღინიშნოს ზარალის ის რაოდენობა რაც გაპირობებულია მატყლის დამაგვიანებელი მცენარეების მომრავლებით. ცნობილია, რომ მცენარეული მინარევების რაოდენობა საშუალოდ 8,56-9,03%-ს შეადგენს, რაც წარმოებული მატყლის საერთო რაო-

დენობაში ბირკათი დანაგვიანებული და დეფექტური მატყლის 77,4% შეადგენს, გაზაფხულზე ნაპარსი მატყლისათვის ეს მაჩვენებელი შეადგენს 81,3%, ხოლო შემოღომით-31,2%, ნახევრადწმინდა მატყლში იგი შეადგენს 39,7%-ს, ნახევრადუხეშ მატყლში-29,8%. აღნიშნული მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს მატყლის დამნაგვიანებელი ბალახების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში მეცხვარეობის დარგის რენტაბელობის დონე მნიშვნელოვნად შემცირდება, რადგან პროდუქციის საერთო რაოდენობაში მატყლის ხვედრითი წილი დიდია.

### მატყლის დამნაგვიანებელი ბალახების წინააღმდეგ ბრძოლა

მატყლის დამნაგვიანებელი მცენარეების მიერ გამოწვეული ზარალი ვლინდება საჭმლის მომნელებელი ორგანოების ლორწოვანი გარსის დაზიანების, კანზე ნაკაწრებისა და ჭრილობების, ასევე ორგანიზმში ინფექციის შეჭრით. ინფექციის შეჭრის ნიადაგზე ცხოველი ავადდება, ჩირქდება დაზიანებული კანი, ჩნდება ნეკროზული უბნები და წყლულება. აღნიშნული დიდ ზარალს იწვევს და ხელს უშლის დარგის განვითარებას.

მატყლის დანაგვიანება შეიძლება გამოწვეული იყოს კვების დროს თივისა და ნამჯების ნარჩენებით, მცენარეთა ნამტვრევებით, რომელსაც ცხვარი ძირითადად იღებს ბაგური კვების პირობებში, საკვების მინარევებით და საძოვარზე ძოვებისას მატყლის დანაგვიანებით ეკლიანი, მჭიდრე მცენარეულობით. ასეთი მცენარეებით დანაგვიანებული მატყლის ხარისხი მნიშვნელოვნად ეცემა, ხოლო გასუფთავება გაძნელებულია, რადგან გასუფთავების მომენტში მრავალი ბოჭკო წყლება და ნედლეულის ტექნიკური თვისებები მნიშვნელოვნად უარსდება. მნელად მოსამორებელი მცენარეებით დანაგვიანებული მატყლის გასუფთავება გაძნელებულია იმის გამო, რომ ისინი მჭიდროდ ეკვრის ბეწვს, შეჰყვება ნართს და მისგან დამზადებული ნაწარმი მეტად დაბალი ხარისხისაა. მცენარეული მინარევებისაგან მატყლის გასუფთავება შედარებით ადვილად ხდება ბეწვის რეცხვისა და მანქანებზე დამუშავების დროს. მნელად მოსაცილებელი, ეკლიანი ნაყოფებით დანაგვიანებული მატყლის გასუფთავება კი გაძნელებულია და გასუფთავების დროს 2,5%-მდე მატყლი იკარგება. არის რეგიონები, დასარევლიანებული საძოვრები, სადაც დამზადებული მატყლის 25-40% დანაგვიანებულია (ბირკებით) და მატყლი დეფექტურია. ძლიერ დასარევლიანებული საძოვრების გამოყენებისას, გაზაფხულის

მატყლის ზოგჯერ მთლიანი რაოდენობა, ან მისი 60-95% დანაგვიანებულია და დეფექტურია.

მატყლის დამნაგვიანებელი ბალახების უარყოფითი მოქმედება მნიშვნელოვანია ზამთრის საძოვრებზე და ცხვრის გადასარეკ გზებზე. ამიტომაც, გაზაფხულის მატყლი, შემოღვომის მატყლთან შედარებით უფრო მეტად არის დანაგვიანებული მავნე ბალახებით. მათ წინააღმდეგ უნდა გატარდეს ბრძოლის როგორც აგროტექნიკური და ქიმიური, ასევე პროფილაქტიკური ღონისძიებები. უნდა მოვერიდოთ მატყლის დამნაგვიანებელი ბალახების თესლით დასარევლიანებული თივით კვებას. ასევე ადგილი აქვს ნამჯის წვრილი ნამსხვრევებით მატყლის ძლიერ დანაგვიანებას. ნამჯით კვებისას საჭიროა იგი საკვებად თხელ ფენად გაიშალოს. ხოლო ისეთ მცენარეებს რომელთა ნაყოფები ეკლიანი კაუჭებით არის წარმოდგენილი მოვარიდოთ ცხოველი, საძოვრების ჰერბიციდებით დამუშავებამდე.

საყურადღებოა, რომ ცხვრის დასასვენებლად გამოყენებული იქნეს სარეველებისაგან სუფთა ადგილები. მატყლის დამნაგვიანებელი მცენარეები უნდა მოისპოს პირველ რიგში საპარსი ადგილების ახლოს, ფარეხების ირგვლივ, დასაწყურებელ ადგილებზე და სხვაგან.

ბანის შერიელას, ჩიტის ბირკას, ბირკიანი ონჯას, ოროვანდის და სხვა მცენარეთა ნაყოფმსხმოიარობა ძირითადად ემთხვევა ცხვრის პარსვას, ამიტომ, საჭიროა გატარდეს ორგანიზაციული ღონისძიებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული მატყლის დანაგვიანება.

მატყლის დანაგვიანების თავიდან აცილების ერთ-ერთი ღონისძიებაა სათიბ-საძოვრების მოვლა. ცნობილია, რომ მატყლის დანაგვიანება უმეტესწილად ხდება იქ, სადაც გადატვირთულია საძოვრები და არასწორად იყენებენ მას. კერძოდ საკვებად ვარგისი ბალახების ხვედრითი წილი ბალახნარში დაბალია და აქ გაბატონებულია დაბალი კვებითი ღირებულების მცენარეულობა, შხამიანი, მავნე და სარეველა ბალახები. აღნიშნული ძირითადად შედეგია იმისა, რომ არ მიმდინარეობს სათიბ-საძოვრების ბალახნარის განოყიერება, რომლის შედეგადაც შესაძლებელია გაძლიერდეს ბალახნარში მარცვლოვნები, პარკოსნები და ასევე მაღალი კვებითი ღირებულების ნაირბალახები, რითაც შესუსტდება უგარგისი ანდა სარეველა და მავნე ბალახების განვითარების შესაძლებლობა.

სარეველა და მავნე ბალახების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ ღონისძიებას წარმოადგენს სათიბბრუნვებისა და ნაკვეთმორიგებითი ძოვების დაწერვა, საძოვრების დატვირთვის ნორმების რეგულირება. მატყლის დანაგვიანების ძირითადი წყაროა ძოვების შემდეგ დარჩენილი გაუმოვარი, შეუჭმელი ბალახების დატოვება

საძოვარზე. აუცილებელია ასეთი ნარჩენი ბალაზების გათიბვა მათ ნაყოფშისხმიარობამდე.

საძოვრებზე ადგილად ვითარდება ბირკიანი იონჯა. ყვავილობიდან ორი კვირის ვადაში წარმოიქმნება მისი მოუმწიფებელი თესლები, რომლებიც სწრაფად მწიფდება და ცვიგა. ხშირ შემთხვევაში, ძლიერი დასარევლიანების პირობებში 250-მდე მცენარე აღმოცენდება 1 მ<sup>2</sup>-ზე. ამასთანავე ბირკიანი იონჯას თესლი ძლიერ მაგარია, ამიტომ, მისი აღმოცენების პროცენტი ნაკლებია—7–20%, სამაგიეროდ აღმოცენების უნარს თესლი ინარჩუნებს 10 წლის განმავლობაში, ზამთრის საძოვრებზე ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ცხვრის გაზაფხულზე გაპარსვას ემთხვევა ბირკიანი იონჯას თესლის მომწიფება. დანარჩენი უხეშმატყლიანი და ნახევრადუხეშმატყლიანი მის მომწიფებას ხშირად წინ უსწრებს, ისინი პირველ რიგში იპარსებიან. გასაპარსი ცხვრის მატყლის დიდი ნაწილი (წმინდა და ნახევრად წმინდამატყლიანი) ბირკიანი იონჯას ახალი თესლით ნაგვიანდება. მატყლის დანაგვიანება ბირკიანი იონჯას ნაყოფით ზაფხულის მეორე ნახევარშიც ხდება.

ბირკათი დანაგვიანებული ცხვრის გადარეკვის დროსაც ფართოვდება ბირკიანი იონჯას გაგრცელების არეალი. ასევე ყურადღებით უნდა მოხდეს დასარევლიანებული სათიბებიდან თივის დამზადება, რომ შეიზღუდოს ბირკას შერევა თივაში.

ბირკიანი იონჯათი დასარევლიანებული ადგილების გასუფთავებისათვის საუკეთესო საშუალებაა ჰერბიციდების შესხერება და ასევე მათი გაძოვება დაყვავილებამდე. ძლიერ დასარევლიანებული ადგილები საჭიროა გადაიხნას, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს და დაითესოს მრავალწლიანი ბალაზები. ბირკიანი იონჯას ყვავილობის ფაზაში გათიბვა და თივის დამზადება, მატყლის დანაგვიანების თავიდან აცილებისა და საკვების მარაგის შექმნის კარგი საშუალებაა.

ბრძოლის ზემოაღნიშნული საშუალებები შეიძლება გამოყენებული იქნეს დაკბილული იონჯის, ყანის ბირკას, ოროვანდის, ორგბილას, ძურწას წინააღმდეგ, 3-5 სმ-მდე წამოზრდილი მცენარე კარგად რეაგირებს ჰერბიციდებზე, ხოლო დასარევლიანებული ადგილების 20-22 სმ სიღრმეზე გადახვნა მათ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალებაა. ეფექტურია ასევე ჩიტის ბირკას ძირში წათიბვა-განსაკუთრებით გვალვიან წლებში, ჰერბიციდების მიმართ მცენარე ყველაზე მეტად მგრძნობიარეა 3-7 სმ-ის სიმაღლით წამოზრდისას. ძალლის ენას წინააღმდეგ ეფექტურია წათიბვა ყვავილობის ფაზაში, ასევე ჰერბიციდების გამოყენება.

ცეცხლებალა და ღორის ბირკა აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 5-6 წლის განმავლობაში. მათ წინააღმდეგ ეფექტურია ჰერბიციდების გამოყენება ყვავილობამდე. განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც ბრძოლის აგროტექნიკური საშუალებები მოუხერხებელია, ეფექტურია ასევე მათი წათიბვა. ხელსაყრელი პირობების დადგომისთანავე ამონაყარი სწრაფად იზრდება, ამიტომ, მიმართავენ მეორე წათიბვას. ყვავილობის ფაზაში 5-7 სმ-ზე წათიბვა მთლიანად სპობს მცენარეს. ცეცხლებალათი და ღორის ბირკათი დასარევლიანებულ ადგილებს უნდა მოვარიდოთ ცხვარი, როგორც საძოვარზე ასევე გზებზე. მათ წინააღმდეგ ეფექტურია ფართობის ღრმად გადახვნა (20-25 სმ), სადაც ამის საშუალება არსებობს.

ვაციწვერათი დასარევლიანებული ადგილები უნდა გაითიბოს ყვავილობამდე, დაბალ სიმაღლეზე. ადრე გათიბული ვაციწვერას თივა ყველა სახის ცხოველისათვის გამოიდგება საკვებად. ზოგჯერ მიმართავენ ვაციწვერას ფართობის გადატრუსვას, ეს იმ შემთხვევაშია დასაშვები თუ დაცული იქნება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები. თუ ვაციწვერათი დასარევლიანებული ადგილები სახნავად ვარგისია, უპირატესობა ენიჭება კულტურული მცენარეების თესვას.

ბანის შევრიელათი დასარევლიანებული ნაკვეთები დროებით, თესლის მომწიფების პერიოდში, ცხვრის გასაძოვებლად არ უნდა იქნეს გამოყენებული. მის წინააღმდეგ ეფექტურია ჰერბიციდების გამოყენება.

ჭანგას წინააღმდეგ უმჯობესია ბრძოლის აგროტექნიკური ღონისძიებები. ჭანგათი დასარევლიანებულ საძოვრებზე ცხვრის ძოვება დასაშვებია ადრე გაზაფხულზე, თავთუნების განვითარებამდე. ხოლო თავთუნების მომწიფების პერიოდში დასარევლიანებულ ადგილებში ცხვრის ძოვებას უნდა მოვერიდოთ. ზოგადდ უნდა აღინიშნოს, რომ ადგილმდებარეობისა და დასარევლიანების ხარისხის გათვალისწინებით სარეველა და მატყლის დამნაგვიანებელი ბალაზების წინააღმდეგ ეფექტურ ღონისძიებებს წარმოადგენს: კულტურული სათიბ-საძოვრების შექმნა, ძოვების შემდეგ დარჩენილი ბალაზების წათიბვა, სათიბბრუნვებისა და ნაკვეთმორიგეობითი ძოვების შემოღება, ჰერბიციდების გამოყენება, მინერალური სასუქებით სათიბ-საძოვრების განოყირება, დეგრადირებულ საკვებ სავარგულებზე ბალაზების შეთესვა, იმ ადგილებში სადაც რელიეფი ამის საშუალებას იძლევა დასარევლიანებული ფართობების გადახვნა და კულტურული ბალაზების დათესვა.

**მატყლის დამნაგვიანებელი ბალაზების დახასიათება:**

**ბანის შვრიელა-romus tectorum**-მრავალწლიანი საკვები ბალაზია, მაგრამ შვრიელას რამდენიმე სახეობა აბეზარი ერთწლიანი სარეველა მცენარეა. იგი სწრაფად იზრდება და ადრე ამთავრებს ვეგეტაციას. მრავლდება მხოლოდ თესლით. ერთ მცენარეს შეუძლია მოგვცეს 1000-მდე თესლი. იზრდება 45 სმ-მდე ღეროთი. ღერო საგველას ქვემოთ შებუსვილია. თავთუნები თავისი ფხიანებით 2-3 სმ სიგრძისაა. საგველა მოკლეტოტებიანია, შეცუმული და ჩვეულებრივ ცალგვერდზეა გადაღუნული. ყვავილობს აპრილ-ივნისში.

ბანის შვრიელა იზრდება სილნარ და თიხნარ ნიადაგებზე, მთის. სარტყელშიც გვხვდება. ძირითადად იზრდება გვალვიან ადგილებში, ძლიერ მავნე მცენარეა. იგი ანაგვიანებს ცხვრის მატყლს, არღვევს პირუტყვის კანის მთლიანობას და აღიზანებს მომნელებელი ორგანოების ლორწოვან გარსს. ბატკნებში იწვევს სიბრმავეს. მშრალი ველისა და უდანობისათვის გაზაფხულზე კარგ საკვებს წარმოადგენს.

**ბატკნისყურა-sperugo procumbens** ხორკლიანი ბალაზოვანი მცენარეა. ღერო ზოგჯერ მხოხავი და დატოტვილია. ფოთლები მარტივია, მოგრძო ფორმის. ყვავილები მარტიულია და ზედა ფოთლების იღლიებში განწყობილი. გვირგვინი აქტინომორფულია, ზარისებურად ან მილისებურად შეზრდილი. ზოგჯერ მილი ქმნის მუხლისმაგვარ გადანაღუნს. ჯამი 5 ნაკვთიანია, დაახლოებით შუაბდე განკვეთილი. ნაკვთებს შორის წყვილი პატარა კბილაკი ვითარდება, რომელიც ნაყოფობისას ძლიერ და არათანაბრად დიდდება, კიდეებზე წამწამებით მოფენილი. გვირგვინი 5-ია შეზრდილი. მუქი ისფერი ან მუქი ლურჯი. მტერიანები და სვეტი არ აღემატება გვირგვინს. გვირგვინის ხახაში განვითარებულია ქერქლისებური დანამატები. ნაყოფი კაკლუჭაა და 4-ია მსხლისებური, გარედან ჩასდევს ქედი, გვერდებზე შებრტყელებულია, მათი ზედაპირი ხორკლიანია, მიმაგრებულია ყვავილსაჯდომის შუა კონუსისებურ ამაღლებულ ადგილზე.

იზრდება რუდერალურ ადგილებზე, მთის ზედა სარტყლამდე და ასევე გვხდება ნათესებში.

რომაელი მეცნიერი პლინიუს უფროსი თავის შრომაში მიუთითებდა ფოთლების სამკურნალო თვისების შესახებ. ძველ ხალხურ მედიცინაში მას ფოთლები გამოიყენებოდა ნიკრისის ქარის (“პოდაგრის”) სამკურნალოდ.

**შებუსვილი სამყურა-Trifolium trichocephalum** საკმაოდ გავრცელებული მცენარეა. იზრდება მთის მდელოზე. ინვითარებს

სწორმდგომ ან წამოწეულ 15-20სმ სიმაღლის ღეროს, სუსტად დატოტვილია. ფოთოლაკები მოგრძო-ელიფსურიდან ლანცეტა ფორმა-მდე, კიდემთლიანი ან უმეტესად თავმოკვეთილია. ყვავილის ჯამის კბილები მობლაგვოა, თითქმის მოკვეთილი, წვერამდე გრძელი, ბეწვით დაფარული, ოთხი კბილი ჯამის მილის ზომისაა, მეხუთე-ორნავ გრძელია. გვირგვინი 1,5-2,5სმ, ხოლო თავაკები 3-6სმ სი-გრძისაა, უმეტესად კვერცხისებრი, იშვიათად სფერული, ქვემოდან შემოხვეულია კენჭრული ფოთლებით.

შებუსვილი სამყურა ჩვეულებრივ საკვებად ვარგისი პარკო-სანია, მაგრამ შებუსული კილების გამო იწვევს მატყლის დანა-გვიანებას და საგრძნობლად აუარესებს მის ხარისხს.

**ბირკიანი ონჯა—edicago minima** ინვითარებს 8-40 სმ სი-მაღლის ღეროს, რომელიც სწორი, წამოწეული ან გართხმული და დატოტვილია. ფოთოლაკები უკუგულისებრია ან უბუკვერცხისებრი, ზოგჯერ მომრგვალო, ძირისაკენ სოლისებრი, თავდაკბილული და ამოკვეთილი. ყვევილები ყვითელია, მცირე ზომის, 2-8 ყვავილიან მტევნად შეკრებილი. ნაყოფი 3-4 მმ დიამეტრის, ბურთივით მრგვა-ლი, 3-5-ჯერ დახვეული, კაუჭიანი ეკლებით არის მოფენილი, რის გამოც ადვილად ეკვრება ტანსაცმელს. ცხვრის მატყლის დანაგვი-ანებას იწვევს კაუჭიანი ეკლებით საყსე ნაყოფით. მატყლში მოხვე-დრილი ნაყოფი ედება ბეწვს და ბურთისებრ გორგლებად გრეხს მას. გადამუშავების დროს ასეთი მატყლი იგლიჯება, მოკლდება და ხშირად წარმოებისათვის უვარესი ხდება. ნაყოფს შეუძლია ასევე მექანიკურად დააზიანოს ცხვველის კუჭ-ნაწლავის ლორწოვანი გა-რსი. ნაყოფის ადრეულად მომწიფების გამო საძოვარზე თავისუფლად ვრცელდება, ერთი მცენარე საშუალოდ 150-მდე ნაყოფს იძლევა.

**ბირკიანი ონჯათი** მატყლი ძირითადად გაზაფხულზე (ცხვრის გაპარსვამდე) ნაგვიანდება. აღნიშნულის გამო გაზაფხულზე, გაპარსვამდე ცხვარი უნდა მოვარიდოთ ბირკიანი ონჯათი დასარე-ვლიანებულ საძოვრებს. იგი იზრდება როგორც საძოვრებზე, ასევე ნათესებში.

**ბირკავა—rimonia eupatoria** იზრდება 30-80 სმ სიმა-ღლის. მარტივი ან მცირედ დატოტვილი ღერო დაფარული აქეს ხეშეში ბეწვით. ფოთოლები რთულია, კენტფრთისებრი, წყვეტილი, ფოთოლაკები-მსხვილი ან წვრილი. თითოეული მსხვილი ფოთოლი 2-6 სმ სიგრძისაა, ელიფსური ან აბრეშუმისებრი, მოთეთრო ბეწვით არის დაფარული. მტევნანი 10-30 სმ სიგრძისაა. ყვავილები დაყვავი-ლების შემდეგ დახრილია. გვირგვინის ფურცლები კვერცხისებრ-ლანცეტაა, 2-3 მმ სიგანის. ცრუ ნაყოფი უკუკონუსურია და თავზე

ოთხ მწკრივად განლაგებული, წვერმოკაუჭებული ჯაგარი აქვს შემოვლებული. მატყლის დანაგვიანებას სწორედ ამ წვერმოკაუწებული ჯაგრით ახდენს. მატყლის დანაგვიანება ძირითადად შემოღვომის პერიოდში ხდება, განსაკუთრებით მშრალი ამინდის დროს, მისი ცრუნაყოფი ადვილად იხლართება მატყლში.

ბირკავა ცნობილია აგრეთვე ძირმაგარასა და იახსარის სახელით. იგი ფართოდ არის გავრცელებული გზებსა და ბილიკების ნაპირებზე, ბუჩქარებში, ნაჩხატებსა და ნათესებშიც კი.

**დაკბილული ონჯა—*edicago littoralis*** მისი ყვავილი მონარჯისფრო-ყვითელია, 1-4 ყვავილიან მტევნებად შეკრული, ღეროწვრილია, ბეწვიანი, 15-40 სმ სიმაღლის, ძირიდანვე დატოტვილი, მწოლიარე. ფოთოლაკები უკუკვერცხისებურია, ძირისაკენ სოლისებრი, თავდაკბილული. ნაყოფი 4-6-ჯერ დახვეული, შიშველი ან ბეწვით თხლად მოფენილი, დიამეტრი 6-10 მმ, ხვეულების ნაპირებზე, ორი ღარის გარდა, ორი მწკრივი მაგარი ეკალაგებული. ეკლები სიგრძით ხვეულის სიგანეს აღემატება და ზოგჯერ მოკაუჭებულია. სწორედ ამ მოკაუჭებული ეკლებით ხდება მატყლის დანაგვიანება.

დაკბილული ონჯა ფართოდაა გავრცელებული, განსაკუთრებით ხშირად გახვდება იგი ხრიოკ ფერდობებზე, საძოვრებზე, რიყებზე და სხვა ადგილებში. საგრძნობლად არის დასარევლიანებული როგორც ზაფხულის, ასევე ზამთრის საძოვრები.

**ეკალცოცხი—*Centaurea solstitialis*** ღილილის ერთ-ერთი სახეობაა. იზრდება 30-90 სმ სიმაღლის ღეროთი. რომელზეც განლაგებული ფოთლები ღანცეტაზურია, კიდემთლიანი ან შორიშორს დაკბილული, ღეროს მთელ სიგრძეზე ვიწრო ფრთები მიყვება. ძირის ფოთლები ჩანგისებურია, მათი კენწრული სეგმენტი უფრო დიდი ზომისაა და კიდედაკბილულია. კალათები 7-13 მმ სიგრძისაა, კვერცხისებრი, საბურველის ფოთლები ტყავისებრია, მწვნე, მათი შუა ეკალი მაგარია და ბევრად უფრო გრძელი. თესლურები მონაცრი-სფროა, თეთრქოჩრიანი, რაც სიგრძით ორჯერ აღემატება თესლურას.

ეკალცოცხი იზრდება მშრალ ფერდობებზე, გზისპირებსა და ნათესებში. საერთოდ ითვლება მშრალი ფერდობების მცენარედ. იგი მავნე მცენარეა, ზიანს აყენებს ცხოველს და ძლიერ ანაგვიანებს მატყლს. მატყლის დანაგვიანება ხდება, როგორც დასარევლიანებულ საძოვრებზე, ასევე ბაგური კვების (თივით) დროს.

**თავთერა—*alcus lanatus*** მრავალწლიანი მცენარეა. იზრდება 80 სმ სიმაღლის ღეროთი. ვაგინიანი ფოთლები ბეწვიანი ან შიშველია. საგველა 10 სმ-ის სიგრძისაა. მრავლდება თესლით. იგი მიე-

კუთვნება ციანოგენურ მცენარეთა ჯგუფს. შხამიანობა გაპირობებულია მასში შემავალი ციანგლიკოზიდებით, რომელთაც გარკვეულ პირობებში ციანმჟავას წარმოქმნა შეუძლიათ. მცენარის მწანე მასა შეიცავს 0.068% ციანმჟავას.

თავთეორა კარგად იზრდება მშრალ ადგილებში, ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ზოგჯერ გვხვდება ცალკე უბნებადაც.

**თეთრეკალა—ycium halimifolium** იზრდება გადამლილი-დატოტვილი მრავალი ღეროთი. ღერო ხასიათდება მოღუნული, დატუთული ტოტებით და ალაგ-ალაგ მოფენილია ეკლებით. მომცრო ფოთლები მოგრძო ან მოგრძო-ლანცეტაა, ძირში ყუნწად შევიწროებული თითო-თითო ან ჯგუფ-ჯგუფად განლაგებული. ყვავილები შედარებით პატარა ზომისაა, ფოთლების იღლიებში თითო-თითოდ ან წყვილ-წყვილად განლაგებული. გვირგვინი სოსანია, გადაყვავილებული მცენარე მღვრიე ყვითელ ფერს იძნს. ნაყოფი კაშკაშა წითელია.

თეთრეკალას საქართველოში საბისურას, მათეს ეკალს, სობურას და სხვა სახელითაც იცნობენ. იგი იზრდება უმეტესად ქვინ, კლდოვან ადგილებში გზის პირებზე. მის შემაღებულობაში ნაპოვნია ალკალინიდი, თუმცა იგი შხამიანი მცენარე არ არის, მაგრამ ცხოველისათვის ძლიერ მავნებელია. თეთრეკალას წვეტიანი ეკლები კაზე, განსაკუთრებით რბილ ადგილებში მრავალ ნაკარტს იწვევს, რის გამოც კანი წყლულდება, ჩირქდება, ხშირად კი ბუზებისგან ჩაიმატლება. აღნიშნული ძლიერ აწუხებს ცხოველს და იგი ჯანდაგი ხდება. თეთრეკალას ეკლები ზოგჯერ თვალისაც აზიანებს და ცხოველი ბრძავდება. საძოვარზე თეთრეკალათი ხშირად ნაგვიანდება მატყლი, რის გამოც დარგი დიდ ზარალს იღებს.

**ირმისმხალა—Serratula quinguefolia** მრავალწლიანი მცენარეა, როულყვავილოვანთა ოჯახიდან. 20-100 სმ სიმაღლის ღეროთი. ყვავილები მიღისებრია, წითელი, ვარდისფერი ან თეთრი. კალათები საშუალო ზომისაა, გრძელ ყუნწებზე თითო-თითოდ განლაგებული, ან რამდენიმე ერთად ფარის მსგავს ყვავილედად შეკრებილი. საბურველი სფერულია ან მოგრძო, მისი ფოთლები კრამიტივითაა განლაგებული. საკარისად მაგარი წვეტითა დაბოლოებული და მჭიდროდაა კალათაზე მიწოლილი. ნაყოფი შებრუნებულკერცხისებურია, თითქმის ცილინდრული, ღია ყავისფერი, პრიალა. ყვავილობს მაის-ივნისში. ნაყოფი მწიფდება ივლის-აგვისტოში. ახლადმომწიფებული თესლი ნიადაგში არაუმტეს 6-8 სმ-ზე მოხვედრისას კარგად აღმოცენდება.

ირმისმხალა იზრდება მშრალ ადგილებში, ცხვრის საძოვრებზე, იალღუჯასა და მახათას მთაზე, ქართლის მიდამოებში და სხვა. იწვევს მატყლის დანაგვიანებას, ყვავილობამდე ხასიათდება დამაკმა-

ყოფილებელი კვებითი თვისებებით, იჭმება ღორის, მსხვილი რქოსანი პირუტყვისა და ცხნის მიერ.

**ისლი-Carex** რამდენიმე სახეობის არსებობს. ა. მაყაშვილის მიერ მარტო თბილისის მიდამოებში 29 სახეობაა აღწერილი, იგი ფართოდ გავრცელებული მცენარეა, ინვითარებს სწორმდრომ ღეროს, რომელიც ერთი მეტრის და მეტი სიმაღლისაა. მრავალწლიანია, ღერო სამწახნაგოვანია, იშვიათად ცილინდრული და ხაზურია ან ლანცეტა ფოთლებით. ყვავილები ერთსქესიანია, მეტწლად ერთსახლიანი, თავთავებად შეკრული. ერთი ან რამდენიმე თავთავი რთულ თავთავად ან საგველადაა თავმოყრილი. თითოეული თავთავი ცალკე შედგება ან მხოლოდ მდედრობითი ყვავილებისაგან, ან მხოლოდ მამრობითისაგან. ყვავილებს ყვავილსაფარი არ აქვს და ყოველი მათგანი კილის იღლიაში ზის, ნაყოფი ორ ან სამწახნაგოვანი კაქალია. ჩანთა რომელშიც კაქალი ზის. მრავალნაირია: სამწახნაგოვანი, ცალმხრივ ამოზნექილი, შიშველი ან შებუსვილი, გლუვი ან ხაოიანი და სხვა.

ისლი იზრდება როგორც მშრალ, მლაშობ, სიღნარ, ისე ტენიან და ჭაობიან ადრილებში. მათი უმრავლესობა რამოიყენება ცხოველის საკვებად, მწვანე მასისაგან სილოსიც მზადდება. საძოვარზე გვხვდება ისლის ისეთი სახეობა, რომელსაც ცხოველი ახლოსაც არ ეკარება. ზოგიერთში აღმოჩენილია ალკალოიდები, რომელიც მცენარის ყველა ნაწილში გვხვდება, მათი რაოდენობა 0,5%-მდეა.

ცხოველის მოწამვლის შემთხვევა ისლით კვებისას ცნობილი არ არის, თუმცა მისი თავთუნებითა და თესლით ძლიერ ნაგვიანდება ცხვრის მატყლი, რის გამოც მნიშვნელოვნად ეცემა მისი ხარისხი.

**კეწეწურა-oeleria** იზრდება 10-50 სმ სიმაღლის ღეროთი. ღერო წვრილია, ზემო ნაწილში უფოთლოა. ფოთლები ვიწროა, ბრტყელი ან ჯაგრისისებრი, შიშველი ან შებუსვილი. საგველა 2-8 სმ სიგრძისაა, მერთალი ან მოისფრო, ცილინდრული ან ნაკვთებიანი, თავთუნები შიშველა 2-4 ყვავილიანი.

კეწეწურა კარგად იზრდება მშრალ ფერდობებზე. მატყლს ანაგვიანებს როგორც საძოვარზე, ისე ბაგური კვების პერიდში—დასარევლიანებული თივით კვებისას.

**უწეწა-Turgenia latifolia** იზრდება 40სმ-მდე დატოტვილი ღეროთი. ფოთლები მოხაზულობით კვერცხისებურია, ფრთისებრ დაყოფილი, მათი სეგმენტები მოგრძო ლანცეტება, ღრმად დაკბილული, ქოლგები 3-4 სხივიანია. ორივე საბურველის ფოთლები ლანცეტა, სიფრიფანა არშიით შემოვლებული. ყვავილები მიწითალო,

იშვიათად მოთეთრო აქვს. მთელი მცენარე ძლიერ ხაოიანია. ნაყოფი 5-10 მმ სიგრძისაა, 1-2 რიგი ეკლებითაა ჩამწკრივებული.

გუწეწას ზოგჯერ ბატიკბილასაც ეძახიან. გავრცელებულია თითქმის ყველგან. უმეტესად გვხვდება მშრალ ადგილებსა და ნათესებში. იგი ითვლება ცხოველისათვის მაგნე მცენარედ. მექანიკურად აზიანებს მომნელებელი ორგანოების ლორწოვან გარსს, ასევე კაწრავს ცხოველის კანის ზედაპირს. კუწეწა ანაგვიანებს მატყლს და დიდ ზარალს იწვევს.

**ლესინგის ვაციწვერა-Stipa Lessinginna** მრავალწლიანი, მკერივკორდიანი ადგილების მცენარეა. ღერო 80სმ-მდე სიმაღლის იზრდება, ფოთლები ვიწრო-ხაზურია, უმეტესად ჯაგრის მსგავსად კიდეებდა ხვეულია. მრავალთავთუნიანია. ყვავილის ქვედა კილი ხასიათდება მუხლმოხრილი თმისებრი ფხით. ყვავილობს ივნისში, ნაყოფმსხმოიარობა ახასიათებს ივლისში. ნაყოფი ადვილად ეკვრება ცხოველს, განსაკუთრებით მატყლიან კანს, ხვრეტს მას, აღწევს ორგანიზმში, ზოგჯერ ძვლებამდიც კი ჩადის და დიდხანს რჩება ორგანიზმში.

იზრდება სათიბ-საძოვრებზე, კარგად უძლებს გვალვას. ძლიერ გავრცელებული მცენარეა. მომწიფებული თესლი (ჩამოცვენილი) ადვილად ეკვრის ადამიანს, ცხოველს და თავისუფლად ვრცელდება. თესლით დაზიანებული ცხვრის ტყავი დაბალი ხარისხისაა. მრეწველობისათვის უვარგისაა. ვაციწვერას თესლით დაზიანებული ხორცი დაბალი ხარისხისაა და უგემურია.

**ნარი-Cirsium vulgare** მიეკუთვნება ძნელად მოსასპობ მრავალწლიან, ფესვთამონაყრიან სარეველა მცენარეთა ჯგუფს. იზრდება 40-80 სმ სიმაღლის ღეროთი. ღერო ზედა ნაწილში დატოტვილია, ზოგჯერ მარტივი, შიშველი ან მონაცრისფრო შებუსვილი აქვს. ფოთლები ორივე მხრიდან მწვანეა, მოყვანილობით მოგრძო ლანცეტა. კიდეამოკვეთილი ან ფრთისებრ დაყოფილი, კიდეეკლებანი. რამდენიმე კალათა ღეროსა და ტოტების წვერზეა ერთად შეკრებილი. ყვავილები ვარდისფერი ან თეთრი აქვს. საბურველის გარეთა ფოთლები-მრავალი, კრამიტის მაგვარად განლაგებული, ფართო, ლანცეტა მოყვანილობისაა, ხოლო შიგნითა-ლანცეტა ხაზურია, ორივე (გარეთაც და შიგნითაც) პატარა წვეტითაა დაბოლოებული.

ნარის რბილ ფოთლებს, კოკრებს და კალათას ცხვრები სიამოგნებით ჭამს. ამის გამო (განსაკუთრებით გვალვიან წლებში), როცა წყლის მიცემა დაგვიანებით ხდება, კუჭ-ნაწლავში მსხვილი, მრგვალი ან ოვალური მასის წარმონაქმნი შეიმჩნევა. მომნელებელ ორგანოებში შესული ნარის ნაწილები, ყვავილის ჯაგრისებრი

ბეწვები, ეკლები და სხვა ერთმანეთში გადაიხლართება, წარმოშობს მკვრივ მასას, რომელიც თანდათან დიდდება იქმდე, რომ მთლიანად შლის მონელების ფუნქციას. ასეთ შემთხვევაში გაუვალობის გამო პირუტყვი კვდება.

ნარი ძლიერ ანაგვიანებს მატყლს. მისი ყვავილის ჯაგრი-სებრი ბეწვები და ეკლები მჭიდროდ ეკვრის მატყლს, რის გამოც მისი ტექნოლოგიური დამუშავება განხლებულია. ამასთანავე მატყლი კარგაქს თავის ღირსებასა და თვისებებს.

**ნამდვილი მურწა-*Setaria verticillata*** იზრდება სწორმდგომი, შებუსვილი 80სმ-ი სიმაღლის ღეროთი. ფოთოლო მწვანე ფერისაა, ხაზურ-ლანცეტა. ვიწრო ცილინდრული მოყვანილობის ყვავილები თავთავის მსგავსია. თავთუნები ელიფსურია, მათ ძირში განვითარებულია დაკლაკნილი და თავთუნებზე გრძელი ჯაგარი, რომლის კბილები უკანაა მიმართული. ყვავილის კილები წვრილი წერტილებითაა მოფენილი, მრავლდება მხოლოდ თესლით.

ნამდვილი მურწას ყვავილედი ადვილად ეკვრება მატყლს და ანაგვიანებს მას. მატყლის დანაგვიანება უფრო მეტად ხდება გაზაფხულის ბოლოს და შემოდგომით. იგი აზიანებს ცხოველის კანს, კაწრავს, არღვევს მის მთლიანობას და ხელს უწყობს ინფექციის შეჭრას. ცხოველის პირის ღრუში მოხვედრისას მურწა აზიანებს მის ლორწოვან გარსს. მურწას ჭამის შედეგად ფურების უმრავლესობას უნვითარდება ნერწყების დენა და საჭმლის ღეჭვა-დამუშავება უნხელდება. მურწა იწვევს პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაწყლულებას. იქევ ვითაედება ხაჭოსებრი ნადები, რომელიც თავთუნების ჯაგრებს შეიცავს. ცხვრის მატყლის დანაგვიანება თავთუნების ჯაგრით ხდება. მურწა აბეზარი სარეველაა. იგი იზრდება რუდერალურ ადგილებში, ბალებში, მინდვრებში, გვხვდება როგორც ერთწლოვანი მცენარე.

**ორკბილა-*idens tripartitua*** ინვითარებს 10-20 სმ სიმაღლის სწორ და დატოტვილ ღეროს, ფოთლები სამაღაა ღრმად დაყოფილი, ხერხებილა, მათი შუა ნაკვთი უფრო მახვილია, ზორჯერ კი ფოთლები მთლიანია. საბურველის გარეთა ფოთლები (5-8) ბალანვანია, შიგნითა ფოთლები 6-15 მმ სიგრძისაა. ენისებრი ყვავილები უფრო ხშირად განუვითარებელია. ნაყოფი 2-3 კბილიანია, შუაში წიბოიანია, კილებიანად 1 სმ სიგრძის, ნაპირებზე ისევე, როგორც მისი კბილები, უკან მიმართული ეკლებითა შემოსილი.

ორკბილა ერთწლიანი მცენარეა, მოპირდაპირედ განლარებული ფოთლებით. უმთავრესად იზრდება ტენიან ადგილებში, მდინარისა

და არხის პირებზე. მატყლის დასარევლიანება ხდება ორკბილას ექლიანი ნაწილებით.

**ოროვნენდი-rectium** ორი ან მრავალწლიანი მცენარეა, მისი რამდენიმე სახეობა არსებობს. უმრავლესობა იზრდება დიდი ზომის 120 სმ-მდე სიმაღლის. ქვედა ფოთლები მოთეთროა, გულისებრ-კვერცხისებრი, ნაპირებზე ამოკვეთილი და დაქბილულია. კალათები მრავალნაირი ზომისაა, ფარის ან საგველას მსგავს ყავილედად შეკრებილი. საბურველი ნოჟენილობით თითქმის სფერულია, მისი გარეთა და შეუა ფოთლები სადგისივითაა წაწვეტებული და წვერში მოკაუჭებული, ყველა ყვავილი მილისებრია, ორსქესიანი. საერთო ყვავილსაჯდომი ჯაგრითა მოფენილი. ნაყოფი მოგრძოა, ოდნავ მობრტყო, სიგრძეზე წიბოები აქვს, წიბოებს შორის დანაოჭებული და მუქი ლაქებით არის მოფენილი. ქოჩორი შედგება მოკლე და დაქბილული ჯაგრისაგან, აღვილად სცილდება. ფესვები შეიცავს მთრიმლავ და მწარე ნივთიერებას ინულინს.

ოროვანდის კალათები მწიფე ნაყოფთან ერთად ადვილად წყდება ღეროს და ეკვრის ცხვრის მატყლის. მატყლი ნაგვინდება და მცირდება მისი გამოსავლიანობა, უარესდება ფიზიკური თვისებები. ოროვანდის ეკლიან ნაყოფს შეუძლია ცხოველის მექანიკური დაზიანებაც. იზრდება გზების, ნათესების, ტყის პირებზე, რუდერალურ და დასახლებული ადგილების ახლოს. პირველ წელს ოროვანდი ინვითარებს მხოლოდ ფესვისძირა ფოთლებს, მეორე წელს ყვავილობს, ხოლო დაყვავილების შემდეგ კვდება. ერთი მცენარის ყვავილი 3500-24000-მდე თესლს იძლევა.

**სელინი-Stipagrostis** იზრდება 30-40სმ სიმაღლის დატოტვილი ღეროთი. ფოთლები წვრილია და სადგისისებრი, დაგრეხილი, წვრილთავთავიანი, მარცვალი სამწახნაგიანია.

სელინი იწვევს ცხოველის კანის მექანიკურ დაზიანებას და მატყლის დანაგვიანებას. მისი თესლი აღჭურვილია წვეტიანი დაბოლოებით, რის გამოც ხდება ცხოველის ჩლიქთშორის უბანლო ადგილების და თვალების დაზიანება. წვეტიანი თესლი შედის კანში და შესაძლებელია შინაგანი ორგანოებიც კი დააზიანოს. წვრილი თავთავითა და მჩხვლეტავი თესლებით ხდება მატყლის დანაგვიანება.

**ფუჭუჭუჭა-Colutea orientalis** ბუჩქოვნი, ტოტებეწვიანი მცენარეა, იზრდება 1-2 სმ სიმაღლის. ფოთლები ლეგა-მწვანეა, 3-5 წყვილი ფოთოლაკისაგან შემდგარი. ფოთოლაკები უკუკვერცხისებრია, ძირისაკენ სოლისებრი, თავმოკვეთილი ან გადაკვეთილი, მოკლე-ყუნწიანი და ბეწვით მოფენილი, მტევანი 1-5 ყვავილიანია. გვირგვინი მსხვილი, მონარინჯო-წითელი ფერისაა, უფრო მუქი პარალელური

ძარღვებით არის დაქსელილი. ნაყოფი 5 სმ სიგრძისაა, მოკლეყუნწიანი, თავგახსნილი.

ფუჭუჭუჭა იზრდება კლდოვან და ქვიშიან ადრილებში. იგი ანაგვიანებს მატყლს და საგრძნობლად აუარესებს მის ხარისხს, დიდი ეკონომიური ზარალის მოტანა შეუძლია. ფუჭუჭუჭას თესლში აღმოჩენილია ალკალინიდი ციტიზინი ( $C_{11}H_{14}N_2O$ ), რომლითაც იწამლება ქათმები.

**ღილილო-Centaurea scaliosa** მრავალწლიანი მცენარეა როულყვავილოვანთა ოჯახიდან. იზრდება 25-60 სმ სიმაღლის ღეროთი, ძირის ფოთლები ყუნწიანია, ხაზურ ნაკვეთებად ორჯერ ფრთისებრ დაკვეთილი, ღეროზე განლაგებული კი ერთჯერა ფრთისებრ დაკვეთილი, ზედა დაკინიბებულია, მთლიანი ან ხაზური. ყვავილები ვარდისფერი ან თეთრია. თესლურა მწვანე რუხი ფერისაა. შავწოლებიანი, ქოჩორზე ბევრად გრძელი. კალათები 2-5 სმ სიგრძისაა, მოგრძო-კვერცხისებრი, ხალიან ტოტებზე თითო-თითოდ განლაგებული, საბურველის ფოთლები კვერცხისებრია, ზურგზე სამწიბოიანი. მათი დანამატი ღანცეტაა, ერთი წევტითა და რამდენიმე თეთრი წამწამით დაბოლოებული.

ღილილო იზრდება კლდეებზე, მშრალსა და ხრიოკ ადგილებში. გავრცელების ფართო არეალი აქვს. კარგად იზრდება სათიბ-საძოვრებზე. შხამიანია და გვალვაგამძლე, საქონელი ცუდად ძოვს, თივაში კი დამატაყოფილებლად იჭმება. ცხოველთა მძიმე მოწამვლას იწვევს, უმთავრესად ცხენების კვებისას არის საშიში. შეიძლება განვითაროს დანაგვიანების მიზეზი.

**ღორის ბირკა-Xanthium strumarium** იზრდება 100 სმ-მდე სიმაღლის, მონაცრისფრო-მომწვანო მცენარეა, მარტივი ან დატოტვილი ღეროთი. ფოთლები გრძელყუნწიანია, 3-5- ნაკვთიანი, არათანაბარი მსხვილებილა, ძირში გულისებრი და სამკუთხედივით ყუნწზე ჩამოსული. ღერო და ფოთლები დაფარულია მოკლე, უხეში ბეწვით. ფოთლის პირველი გერედითი ძარღვები სამკუთხედის კიდეებს გასდევს. ცრუნაყოფის დანაოჭებული ზედაპირი მსხვილი მოკაუჭებული ეკლებითაა დაფარული. იგი ვიწრო-ოვალური ან მოგრძო, 18-22 სმ სიგრძის (რქებიანად), ეკლებს შორის შიშველი მოჩანს, მაგრამ ლუპით კარგათ ჩანს ბუსუსები და ჯირკვლები, მოფენილი ეკლები კი შიშველია. ყვავილობს აგვისტოში, ნაყოფი მწიფდება ოქტომბერში.

ღორის ბირკა მასობრივად არის გავრცელებული, გვწვდება ეზოებში, გზისპირებზე, მინდორში და სხვა ადგილებში. იგი მიეკუთვნება მავნე მცენარეთა ჯგუფს, იწვევს ცხოველის მექანიკურ დაზიანებას და საგრძნობლად ანაგვიანებს მატყლს. ბირკას ნაყოფი

ადვილად ეკვრის ბეწვს, ბეწვის ძირი დაჭიმულობის გამო წიწქნის კანს და ძლიერ მტკივნეული ხდება, ცხვარს უნელდება მოძრაობა. ბირკას ნაყოფი ზოგჯერ გროვდება თვალის ირგვლივ მატყლზე, ხელს უშლის ძოვებისას და ხშირად დაბრმავების მიზეზიც ხდება. დანაგვიანებული მატყლი საგრძნობლად კარგავს სასაქონლო ღირებულებას.

**ყანის ბირკა-Caucalis daucoides** იზრდება 50 სმ სიმაღლის დატოტვილი ღეროთი. ფოთლები კვერცხისებრია, სამჯერად ფრთი-სებრი, მოკლე ხაზური სეგმენტებით, ქოლგები უსაბურველოა, გრძელყუნწიანი. 2-3 იშვიათად 4-5 სხივიანი. კერძო საბურველის ფოთლები ლანცეტა და სიფრიფანა არშით არის შემოვლებული. ყვავილი ხშირად თეთრია, იშვიათად გვხვდება მოვარდისფრო. მთელი მცენარე ხეშეში ბეწვითაა მოფენილი. ნაყოფი დაფარულია მოკაუჭებული ჯაგრითა და ეკლებით.

ყანის ბირკა იზრდება როგორც ნათესებში, ასევე მშრალ ფერდობებზე და რუდერალურ ადგილებში. იგი ითვლება მავნე მცენარედ, საგრძნობლად ანაგვიანებს მატყლს და ხარისხს უკარგავს მას. მატყლის დანაგვიანება ხდება როგორც საძოვარზე, ასევე დასარევლიანებული თივით კვებისას. მისი ნაყოფით დანაგვიანებული მარცვლით ცხოველის კვებისას ხდება მომნელებელი ორგანოების ლორწოვანი გარსის მექანიკური დაზიანება, მტკივნეულია და ადვილად ხდება ორგანიზმში ინფექციის შეჭრა.

**ჩარანი-Salsola ericoides** ერთწლიანი მცენარეა. მისი ორსქე-სიანი ყვავილები განლაგებულია ფოთლების იღლიებში, თითოეულად ან ერთად და თავთავისებრ ყვავილედადა შეკრებილი. ფოთლები წვერში ეკლიანია, ხაზურ-სადგისისებრი, მოსქელო, ნახევრადცილინდრული, შიშველი ან ხაოიანი. ყვავილის უეწვებელი განლაგებული თანაყვავილედი კვერცხისებრია, ეკლიანი, ყვავილსაფარზე გრძელი. ყვავილსაფარი სიფრიფანაა, ნაყოფის მომწიფების დროს მაგრდება და ადვილად იმტკრევა. ყვავილსაფარის დანამატები 5 ფრთის სახითაა წარმოდგენილი. ვარდისფერი ან უფერული, სიფრიფანაა ან სავარცხლისებრი წამონაზარდებითაა აღჭურვილი. თესლი უკუკონუსურია, ბლაგვთავიანი, ოდნავ პრიალა.

ჩარანი იზრდება გზის პირას, მლაშობ, სილნარ და რუდერალურ ადგილებში. იგი ითვლება ზამთრის საძოვრების საკვებ მცენარედ. მატყლის დანაგვიანებას იწვევს სიფრიფანა ყვავილსაფარის ნამტკრევებით, თესლით და სხვა ვეგეტატიური ნაწილებით.

**ჩიტის ბირკა-appula echinata** იზრდება 40სმ სიმაღლის მარტივი ან დატოტვილი ღეროთი. ფოთლები ხაზური ლანცეტაა,

ნაპირებზე ხეშეში წამწამებით მოფენილი, ქვედა ფოთლები მოგრძო—ნიჩბისებრია, ძირისაკენ ყუნწად შევიწროვებული. გვირგვინის გადანაღუნი მიღწე მოკლეა და 3-4 მმ დამეტრის. ყვავილედის ტოტები ცალგვრდაა და მეჩხერი. ყვავილობს მაის—ივნისში, ნაყოფმსხმოიარობა მიმდინარეობს ივნისში. ნაყოფი ეკლიანი კაკალია. ეკლების სიგრძე კაკლის სიგანისოდენაა. ჩამოცვენილი ნაყოფი ადრე გაზაფხულზე აღმოცენდება და სწრაფადაც იზრდება,

ჩიტის ბირკას ეკლებიანი ნაყოფი ანაგვიანებს მატყლს, აუარესებს მის ხარისხს, ართულებს მატყლის დამუშავებას. ეკლები ადგილად ედება ტანსაცმელს. მცენარეზე განვითარებული დიდი რაოდენობის ნაყოფები მერჯე წლის გაზაფხულამდე რჩება. ასეთი მსხმოიარე მცენარე მთელი წლის მანძილზე საშიშია მატყლის დანაგვიანებისათვის. ჩიტის ბირკას ცხოველი საკებად იშვიათად იყენებს, მაგრამ გამორიცხული არ არის ნაყოფის ეკლებით ცხოველის კანის მთლიანობის დარღვევა, დაჩირქება და დაწყლულება.

**ცეცხლეკალა-Xanthium spinosum** რთულყვავილოვანთა ოჯანის წარმომადგენელია, ერთწლიანია, 50-სმ-მდე სიმარლის ღეროთი, ფოთლების ძირში ზის 1 ან 2, ორად ან სამად დატოტვილი ყვითელი ეკალი. ფოთლები უფრო ხშირად 2-5-ნაკვთიანია, ქვემოთ მოთეთრო, ზემოდან ოდნავ შებუსვილი. ცრუ ნაყოფი 8-10 მმ სიგრძისაა, კვერცხისებრი, ყვითელი, წვერმოკაუჭებული ეკლებით მოფენილი, ხოლო თავში ორი სხვადასხვა სიგრძის სწორი რქით დაბოლოებული. ცეცხლეკალას კალათები ერთსქესიანია. მდედრობითი და მამრობითი კალათები ერთ მცენარეზე სხვადასხვა აღვილებული. ნაყოფი ღეროსა და მის ტოტებზე თითო-თითოდ ან ჯგუფურადაა განლაგებული. მდედრობითი ყვავილები ყვავილსაფარის გარეშეა და ორბუდიან მდედრობით კალათაში სათითაოდაა განლაგებული. მამრობითი კალათები თითქმის სფერულია, მრავალყვავილიანი, ტოტების ბოლოში განლაგებული, დაყვავილების შემდეგ მთლიანად ცვივა. ნაყოფი მოგრძოა, უქოჩრო, ეკლებიან საბურველში წყვილ-წყვილად ჩამჯდარი. ერთ მცენარეზე 100-150 და მეტი ნაყოფია. ყვავილობს აგვისტო-ოქტომბერში. მრავლდება მხოლოდ თესლით.

ცეცხლეკალას ზოგიერთ სახეობაში აღმოჩენილია ალკალოიდები (მწვანე ფოთლებში), ზოგიერთში გლიკოზიდები (მომწიფებულ თესლში), იგი გამოირჩევა აგრეთვე იოდის შემცველობით. საძოვარზე ახლად წამოზრდილი ცეცხლეკალათი შეიმჩნევა ღორის, მსხვილი რქისანი პირუტყვის, ცხვრის და ფრინველის მოწამვლის შემთხვევები. იგი აზიანებს ცხოველის კანს, იწვევს მომნელებელი ორგანო-

ების ლორწოვანი გარსის გაკაწვრას და ხელს უწყობს ორგანიზმში ინფექციის შეჭრას.

ცეცხლეკალას რამდენიმე სახეობაა ცნობილი, რომელთაგან ზოგიერთი აზიანებს არა მარტო მატყლს, არამედ ცხოვლისთვისაც მავნებელია. რადგან მისი საბურველი მჩხვლეტავი რქითაა დაბოლოებული, ნაყოფის მომწიფებისას გამაგრებულია, ზედაპირზე წვერმოკაუჭებული ექლებით იწვევს მატყლის დანაგვიანებას და პირუტყვის მექანიკურ დაზიანებას.

**ძაღლის ბირკა-Torilis** იზრდება ძირიდანვე დატოტვილი ღეროთი. სეეტები ძალიან მოკლეა და სწორმდგომი, ფოთლები ორჯერულობისებრია, სეგმენტები მოგრძო და ფრთისებრ დაყოფილი. ქოლგები 2-3-სხივიანია, ფოთლების მაპირდაპირედ განლაგებული, მჯდომარე ან ძალიან მოკლეფუნწიანი, თავაკის მსგავსად შეკუმშული. ნაყოფი 3 მმ სიგრძისაა და ორგვარია: ქოლგის გრძეთა ნაყოფებიდან ნაპირნახვარი (ტყუპის ცალი) ეკლებიანია, შიგნითა ბორცვიანი.

ძაღლის ბირკა იზრდება რუდერალურ ადგილებში, ქვიან ფერდიბებზე და ნათესებში, უფრო ხშირად გვხვდება ბუჩქებში. იგი ძნელად ცილდება მატყლს, რის გამოც საგრძნობლად აუარესებს მის ხარისხს და ზოგჯერ წარმოებისათვის მთლიანად უვარებისი ხდება.

**ძაღლის ენა-Cynoglossum officinale** იზრდება 90 სმ სიმაღლის ღეროთი, ფოთლები მოგრძო ლანცეტაა ან ელიფსური, ქვედა ყუნწიანია, ხოლო ზედა მჯდომარე, გვირგვინი მუქი წითელია, იშვიათად—თეთრი. ჯამის ნაკვთები ბლაგვია და რბილი ბეწვებითაა მოფენილი. ორგვლივ გასქელებული და აწეულნაპირებიანი კაკლები 6 მმ სიგრძისაა. იგი ორი ან მრავალწლიანია. გრძელ მტევნებად შეკრებილი ყვავილებით. მონაცრისფრო ბეწვიანი ფოთლებითა და კაუჭებიანი მოკლე ეკლებითაა მოფენილი.

ძაღლის ენას ვეგეტატიურ ნაწილებს სპეციფიკური-თაგვის სუნი აქვს, რის გამოც მას თაგვები და ვირთხები ერიდებიან. მისი კაუჭიანი ეკლები აზიანებს ცხვრის მომნელებელი ორგანოების ლორწოვან გარსს და ანაგვიანებს მატყლს (უკარგავს ხარისხს). მატყლის დანაგვიანება ხდება როგორც საძოვარზე, ასევე ბაგური კვების დროს (როცა თივა დანაგვიანებულია ამ მცენარით). ძაღლის ენას შემადგენლობაში ნაპოვნია 0,12 %—მდე შხამიანი ალკალოიდები: ცინოგლოსინი, კონსოლიდინი, ვირიდიფლორინი ( $C_{15}H_{27}NO_4$ ). ალკალოიდები უფრო მეტი რაოდენობითაა თივაში.

**ჰანგა-gropyrum** მრავალი ნაირსახეობით არის ცნობილი. ზოგი მათგანი უვნებელია და კარგ საკვებს წარმოადგენს. ზოგიერთი კი მატყლის დამნაგვიანებელი მცენარეა. ასეთი სახეობების თავთუნები

თავისი ფართო მხრით თავთავის ღერძისაკენ აქვთ მიმართული. თავთუნის კილები თითქმის ერთი ზომისაა, ქედიანი ან უქედო, ყვა-  
ვილის ქვედა კილი უფხოა ან ფხიანი. ფხა ყვავილის კილზე მო-  
კლეა. ყვავილები თავთავია. ფოთლები უმეტესად 1-3 მმ სიგრძისაა  
და კიდეებდახვეული. ჭანგას ფხიანი ფორმები უფრო მეტად ანაგვი-  
ანებს მატყლს, ვიდრე უფხო ფორმები.

### **3. უცყვატი სწავლების დარბაზი Conctant Studying Hall**

---

უძღვება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აკადემიკოსი  
ომარ ქეშელაშვილი

#### **ლექცია 18. ზინასები და პრეზენტი**

##### **18.4. ბიუჯეტი**

ბიუჯეტი, ფინანსების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სიტყვა „ბიუჯეტი“ ფრანგული წარმოშობისაა, რაც ტყავის ქისას ნიშნავს. შემდეგ იგი ინგლისელებმა გადაკეთეს და ტომრის მნიშვნელობა მისცეს, რომელიც შეიცავს ანგარიშებს.

თანამედროვე გაგებით-ბიუჯეტი არის ფულად ფორმაში გამოხატული სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების სისტემა.

სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყნის ძირითადი ფინანსური გეგმაა მიმდინარე წლისათვის, რომელსაც კანონის ძალა აქვს და რომლის ფულადი სახსრები გამოიყენება სახელმწიფოს ძირითადი ამოცანებისა და ფუნქციების შესასრულებლად.

ბიუჯეტი შედგება ორი ურთიერთდაკავშირებული ნაწილისაგან.

1. შემოსავლები;
2. გასავლები.

შემოსავლებში თავს იყრის გადასახადები. სახელმწიფო, მ.შ. საგარეო სესხები.

- ბიუჯეტის ფუნქციებია:
- ✓ ერთობლივი ეროვნული პროდუქციისა და ეროვნული შემოსავლის გადანაწილება;
  - ✓ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება და სტიმულირება;
  - ✓ სოციალური პოლიტიკის ფინანსური უზრუნველყოფა;

✓ ფულადი სახსრების ცენტრალიზებული ფონდების ფორმირებისა და გამოყენების კონტროლი.

ბიუჯეტის შემოსავლების კლასიფიკაცია ზღვა – სხვასხვა ნიშნით.

შემოსავლის წყაროს მიხედვით ის იყოფა: გადასახადები იურიდიული პირებისაგან: გადასახადები მოსახლეობისაგან; სესხები; შემოსავლები სახელმწიფო საკუთრების რეალიზაციიდან.

ამოღების მეთოდების მიხედვით: საგადასახადო და არა საგადასახადო შემოსავლები.

გადასახადის სახეების მიხედვით: გადასახადი კორპორაცია (სამეწარმეო ფორმირებათა) მოგებიდნ; დამატებული ლირებულების გადასახადი (დღე); აქციზი; საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებისგან და ა.შ.

ბიუჯეტის ხარჯები იყოფა მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებად.

მიმდინარე ხარჯები გამოეყოფა იურიდიულ პირებს, მიმდინარე მითხოვნების დასაფინანსებლად (საქონლისა და მომსახურების შეძენა; ინფრასტრუქტურისა და სახელმწიფო საწარ-მოების შენახვა; მართვისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სუფრიდები; სახელმწიფო ვალის პროცენტური გადახდა და სხვა).

კაპიტალურ ხარჯებს მიეცუთვნება ფულადი დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია ძირითად კაპიტალდაბანდებასთან და მოგების ზრდასთან.

ზემოთ ჩამოთვლილი ხარჯები იყოფა აგრეთვე უწყებრივი და მიზნობრივი ნიშნით. აქ იგულისხმება მათი დარგობრივი და ტერიტორიული დაყოფაც.

საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებით ფინანსდება შემდეგი ხარჯები;

1. ინვესტიციები საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტებზე;
2. გარემოს დაცვის, გეოლოგიურ-სადაზერვო და საძიებო, ტექნიკური მოვლისა და აღდგენის, სასოფლო-სამეურნეო პიდრომელი-ოლაციურ, საერთო-სახელმწიფოებრივ პროგრამებზე;
3. მოსახლეობის სოციალური დაცვის სახელმწიფოებრივ პროგრამებზე;
4. სხვა სახელმწიფოებრივ მიზნობრივ პროგრამებზე;
5. საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაზე;
6. განათლების, მეცნიერების, კულტურის, ინფორმაციის

მასობრივი საშეალებების, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებზე, ფიზიკური კულტურისა და სოციალური დაცვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ გატარებულ ღონისძიებებზე;

7. სახელმწიფო და სამობილიზაციო რეზერვების შექმნასა და შევსებაზე;

8. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების, სამართალდამცავი ორგანოების, პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების და კონტროლის პალატის შენახვაზე;

9. თავდაცვისა და სასაზღვრო ჯარების ხარჯები;

10. ბანკის კრედიტებისა და სახელმწიფო ვალის დაფარვაზე, აგრეთვე მათ მომსახურებაზე;

11. საქართველოს პრეზიდენტის ფონდი, სახელმწიფო სარეზერვო ფონდი, აგრეთვე სხვა მასობრივი საბიუჯეტო ფონდებისა და რეზერვების შექმნაზე;

12. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის საბიუჯეტო სესხებზე და მიზნობრივ ტრანსფერენტებზე;

13. სახელმწიფო კანონმდებლობით განხორციელებულ სხვა ლონისძიებებზე.

ქვეყნის ფინანსური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ბიუჯეტგარეშე ფონდები, რომელიც წარმოადგენს ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების განკარგულებაში არსებული ფინანსური სახსრების ერთობლიობას და რომელსაც გაჩნია მიზნობრივი დანიშნულება.

ამჟამად, საქართველოში არსებობს შემდეგი ბიუჯეტგარეშე ფონდები; საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი; ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდი.

#### ბიუჯეტგარეშე ფონდების შემოსავლებია:

- ✓ სოციალური მიზნობრივი გადასახადები და მოსაკრებლები;
- ✓ საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგების ანარიცხები;
- ✓ ბიუჯეტის სახსრები;
- ✓ იურიდიული პირების კომერციული საქმიანობიდან შემოსავლები;
- ✓ ბანკიდან მიღებული სესხები.

## 18.5. პრედიტი

საზოგადოების მოთხოვნილებების დაქმაყოფილება შეუძლებელია მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტით. ამიტომ, ხელისუფლება მიმართავს ორიდიული და ფიზიკური პირების სესხების მობილიზაციას სახელმწიფო კრედიტის მეშვეობით.

სახელმწიფო კრედიტი წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობას სახელმწიფოსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის. იგი გადასახადისაგან განსხვავებით ნებაყოფლობითა.

კრედიტი ლათინური სიტყვაა და პირდაპირი გაგებით სესხს, ვალს ნიშნავს.

ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში შემოსავლები, რომლებიც მიიღება სახელმწიფო კრედიტის მეშვეობით, თავისი მოცულობით მეორე ადგილზეა გადასახადების შემდეგ.

სახელმწიფო კრედიტი, როგორც ფინანსური კატეგორია, ორნაირი ასპექტით განიხილება: აქტიური როცა სახელმწიფო გამოდის კრედიტორის როლში და პასიური-როცა იგი გამოდის მსესხებლის როლში.

### დაკრედიტების ძირითადი პრიცეპები:

- დაბრუნებადობა;
- ვადიანობა;
- მიზნობრივობა;
- უზრუნველყოფადობა (მატერიალური ფასეულობით);
- ანაზღაურებადობა.

კრედიტის ფუნქციონირება გამოხატულებას პოულობს მის ფორმებში. კრედიტის ფორმებია; კომერციული, საბანკო, მეურნეობათაშორისი, სამომზმარებლო, სასოფლო-სამურნეო, იპოტეკური, სახელმწიფო და საერთაშორისო.

### კრედიტი ორ ფუნქციას ასრულებს:

1. ფისკალურს-სახელმწიფო კრედიტით ხდება ცენტრალიზებული ფულადი ფონდების ფორმირება, რითაც ხდება გაწეული ხარჯების დაფინანსება;

2. მარეგულირებულ-გამოიყენება ხელისუფლების მიერ ფულის მიმოქცევის რეგულირებისათვის. მოსახლეობისაგან სახსრების მობილიზაციით, აკიწროვებს რა მათ გადახდისუნარიანობას, ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, აფართოებს წარმოებას.

სახელმწიფო კრედიტის კლასიკური ფორმაა სახელმწიფო სესხების გამოშვება. ცნობილია სახელმწიფოს შინაგანი სესხების ორი ფორმა:

სახელმწიფო სესხები, რომელიც მიეყიდება მოსახლეობას და საკრედიტო დაწესებულებებს;

მოსახლეობის ანაბრების ნაწილის მიმოქცევა შემნახველ ბანკებს, სალაროებში და სახელმწიფო სესხებში.

სახელმწიფო ფულადი სახსრების აკუმულაცია ზღვაზე აგრეთვე ობლიგაციების გაყიდვითაც. ბლიგაცია ფასიანი ქაღალდია, რომელიც წარმოადგენს ხანგრძლივი დროის განმავლობაში განსაზღვრული თანხის გადახდის ვალდებულებას (პროცენტის მიცემით).

ობლიგაცია ვარგისია ყიდვა-გაყიდვისთვისაც.

არსებობს სახელმწიფო სესხების შემდგვი კლასიფიკაცია:

1. ემისის უფლების მიხედვით სესხები იყოფა: ცენტრალური მთავრობის მიერ გამოშვებული სესხები და ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოშვებული სესხები;

2. განთავსების ადგილის მიხედვით-შინაგან და საგარეო სესხებად;

3. შემოსავლების მიხედვით-პროცენტულ და ლატა-რიულ სესხებად;

4. დაფარვის ვადების მიხედვით-მიმდინარე, მოკლე-ვადიან, საშუალოვადიან, გრძელვადიან და უვალო სესხებად.

5. განთავსების მეთოდის მიხედვით-ნებაყოფლობით და იძულებით სესხებად.

## 18.6. ბიზნესის ფულად-საპრედიტო უზრუნველყოფა

ბიზნესის სისტემა და საერთოდ მისი ორგანიზაცია წარმოუდგენელია ფულად-საკრედიტო სფეროსა და საფინანსო საბანკო მეურნეობის გარეშე. ეს ბიზნესურ საქმიანობაში საქმაოდ როგორი უბანია.

თუ ბიზნესმენს კარგად აქვს მოგვარებული ფულადი სახსრების ხარჯება, კრედიტის გამოყენების მექანიზმი, ბანკთან ურთიერთობები, მაშინ შეიძლება ითქვას რომ მისი ბიზნესი ძლიერი და პერსპექტიულია.

თითქმის დაუწერელ კანონადაა მიღებული, რომ თუ ფირმას ბანკის ნდობა აქვს მოპოვებული, იგი მომხმარებელთა ნდობასაც იმსახურებს და თანამონაწილე პარტნიორებისასც, სწორედ ბანკის ნდობისა და მასთან მყარი კონტაქტის წყალობით მიიღწევა ფირმის ფულად-საკრედიტო საფინანსო-საბანკო უზრუნველყოფის მაღალი დონე.

კრედიტის აუცილებლობა განპირობებულია ფულის, როგორც გადახდის საშუალების ფუნქციის რეალიზაციით. კრედიტი საშუალებას იძლევა დროებით გამოთავისუფლებული ფულადი სახსრები კონცენტრირებული და მიზნობრივად იქნას გამოყენებული.

როგორც მიღებულია, კრედიტი არის ფორმა, რომელიც საშუალებას იძლევა მობილიზებული იქნეს საწარმოებისა და მოსახლეობის დროებით თავისუფალი სახსრები, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები საკრედიტო საწარმოების მიერ მიზნობრივი გამოყენებისათვის, წინასწარ განსაზღვრული წესის მიხედვით, დაბრუნების პირობით.

#### ამის შესაბამისად კრედიტის ძირითადი ფუნქციები:

1. დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მინობრივი და ეფექტური გადანაწილება;
2. ნაღდი ფულის საკრედიტო ფულითა და ოპერაციებით შენაცვლება;
3. საწარმოთა ფინანსურ საქმიანობაზე კონტროლი, ძირითადად გადახდის სამედოობის დადგენის თვალსაზრისით.

კრედიტი ბიზნესმენს დიდ დახმარებას უწევს, რაც ძირითადად შემდეგში გამოიხატება:

1. აჩქარებს კაპიტალბრუნვას;
2. აჩქარებს ძირითადი ფონდების გაფართოებას;
3. აჩქარებს ახალი ტექნოლოგიების ათვისებას;
4. აჩქარებს მატერიალური ფასეულობათა
5. მოძრაობას;
6. აჩქარებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს;
7. უზრუნველყოფს აუცილებელი ფულადი რესუ-  
რსებით საწარმოში წარმოქმნილ დროებით მოთხოვნილებას სახსრე-  
ბზე;

8. ხელს უწყობს სახსრების ბრუნვადობას;
9. ხელს უწყობს ქვეყანაში, რეგიონში, ფულადი მეურნეობის განმტკიცებას;
10. ქმნის სახსრების ეფექტურად გამოყენების ხელშემწყობა პირობებს;
11. უზრუნველყოფს გაფართოებული კვლავწარმოე-  
ბის პროცესის სტაბილურობასა და უწყვეტობას;
12. ხელს უწყობს საწარმოს მომგებიანობის ზრდას.

კრედიტის ფორმირებასა და მისი ბაზის შექმნას ხელს უწყობებით ბიზნესმენები, რისთვისაც ისინი დროებითი თავისუფალ ფულად სახსრებს, რეალიზაციიდან მიღებულ თანხებს ათავსებენ ბანკებში,

აქედა სელფასის ფონდისთვის გამოყოფილი ფულადი სახსრებიც. სახსრები კრედიტის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.

ბიზნესის მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება კრედიტის ორი ძირითადი ფორმა: კომერციული და საბანკო.

1. კომერციული—ეს არის კრედიტი საქონლური ფორმით, რომელსაც მწარმოებლები და ვაჭრები აძლევენ ერთმანეთს საქონლის რეალიზაციის დაჩქარების მიზნით.

2. საბანკო—ეს არის ფულადი კრედიტი, რომელსაც ბანკები (სახელმწიფო, კერძო გამსესხებლები) აძლევენ ფირმებს და სხვას.

როგორც წესი, კრედიტი შეიძლება იყოს მოკლევადიანი ერთ წლამდე (საბრუნავი სახსრების მოძრაობისათვის), საშვალოვადიანი და გრძელვადიანი (კაპიტალური მშენებლობისა და სხვა მსხვილი საქმისათვის),

საკრედიტო მომსახურება და საერთო საფინანსო ოპერაციები ძირითადად ბანკების საშუალებით ხდება, ამიტომ ბანკები ბიზნესის ძირითად ელემენტებსა და ატრიბუტებს წარმოადგენენ.

ეკონომიკური ღიტერატურა არ იძლევა კრედიტის ერთან კლასიფიკაციას. კ. პაგენმიულერი და გ. ლიპნი კრედიტულ ოპერაციებს შემდეგნაირად ყოფენ:

1. ვადის მიხედვით: მოკლევადიანი, საშვალოვადიანი, გრძელვადიანი;

2. უზრუნველყოფის მიხედვით: არაუზრუნველყოფილი (საბანკო ან პერსონალური), უზრუნველყოფილი;

3. სახეების მიხედვით: საბანკო, სახელმწიფო, კომერციული, სადაზღვევო კომპანიების კრედიტი, კერძო პირების კრედიტი, კონსორციული (მეტა-კრედიტი);

4. მსესხებლის სახეების მიხედვით: სასოფლო-სამურნეო, სამრეწველო (სამრეწველო კომპანიის კრედიტი), კომუნალური, პერსონალური;

5. გამოყენების მიხედვით: სამომხმარებლო, სამრეწველო, კომპანიების საშვალებათა ფორმი-რებისათვის, ინვესტიციები, სეზონური, დროებითი ფინანსური სიძნელების დაძლევისათვის, შუალედური, ფასიანი ქაღალდების ოპერაციებზე, იმპორტული, ექსპორტული;

6. სიდიდის მიხედვით: მცირე, საშუალო, მსხვილი.

## 4. ინტელექტუალური საუბრები Intellectual Conversations

უძღვება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აკადემიკოსი  
ომარ ქეშელაშვილი

### 4.1. საუბრები ქართულ ენასა და მათყველების კულტურაზე<sup>1</sup>

#### 4.1.1. ქართული ენა და მისი განვითარება

ქართული ენა ქართველი ერის ენაა. მასში აღიბეჭდა ქართველი ხალხის ისტორიის ეტაპები, მისი ყოფა და კულტურა – უძველესი ხანიდან მოყოლებული. ქართული ენა ეროვნული კონსოლიდაციის ყველაზე მძლავრ ბერკეტს წარმოადგენდა.

ქართული ენა მიეკუთვნება მსოფლიოს ცივილიზაციულ ენებს. ამ ენაზე შეიქმნა ჟნერიბრივი დრაკლოვერიუმი ლიტერატურა: საეკლესიო-რელიგიური, ფილოსოფიურ-თეოლოგიური, საერო, ისტორიული, სამეცნიერო, სასწავლო ხასიათისა და სხვ.

პირველი ქართული ანბანი, პირველი ქართული დამწერლობა ასომთავრული იყო. ამ ანბანს კიდევ მრგლოვანს უწოდებდნენ, რადგან მისი მოხაზულობა უმთავრესად მომრგვალებულია.

ჩვენ რომ ახლა ანბანს ვიყენებთ, ის არის მხედრული დამწერლობა, მხედრული ანბანი. მხედრულს უსწრებდა ნუსხური დამწერლობა, ნუსხურს – ასომთავრული.

<sup>1</sup> გამოყენებულია: ი. მაისურაძის - „ქართული სწორმეტყველების საკითხები“ (თბილისი, 1966წ.), ვ. თოფურიას - „ქართული ენა მართლწერის ზოგიერთი საკითხი“ (თბილისი, 1965წ.), შ. ძიძიგურის - „ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გზები“ (თბილისი, 1986წ.).

**ასომთავრულის** შექმნა და განვრცობა და ქართული მწიგნობრობის შექმნა, პირველი გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს დამაარსებლებს, მევე ფარნაგაზს უკავშირდება. ეს იყო ორი ათას სამასი წლის წინათ.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ქართული ანბანი მანამდეც, ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნემდეც არსებობდა. ფარნავაზმა ეს ანბანი გაავრცელა, საყოველთაო ხმარებაში შემოილო.

ძველი მწერლობის მქონე ენას კულტურულ ენას უწოდებენ. ქართული ენა მცირეთაგან ერთ-ერთი უძველესი კულტურული ენაა. მსოფლიოში ორი ათას ორასზე მეტი ენა ითვლება, რომელთაგან ზოგი უკავე მკვდარია. საკუთარი დამწერლობის ენები, როგორც ქართული, თითზე ჩამოსათვლელია. ანბანი ანუ დამწერლობა სულ 14-ია ქვეყნიერებაზე და აქედან ერთი ქართული დამწერლობაა.

ქართულმა ენამ შემოგვინახა ისეთი თხზულებები ბიზანტიური მწერლობისა, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულია, მათი აღდგნა კი შეიძლება მხოლოდ ქართული თარგმანებით.

ქართული ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი შეიცავს მრავალ სპეციფიკურ ნიშანს, რომლებიც სხვა ენებში არ დასტურდება.

თხუთმეტსაუკუნოვანმა სალიტერატურო ქართულმა ენამ საუკუნეების მანძილზე გააღრმავა თავისი შინაგანი შესაძლებლობები და მკაცრად ჩამოაყალიბა თავისი სტრუქტურა, გააფართოვა ლექსიკის ჩარჩოები.

ცნობილი ქართველოლოგი ნიკო მარი აღნიშნავს: „ქართულ ენას შეუძლია სრულფასოვნად და დაუმახინჯებლად გადმოგვცეს განყენებული აზრების ცნებები. ქართულად ადვილად ითარგმნება როგორც აზიური, ისე ევროპული კულტურული საზოგადოების მთელი პროდუქცია. მას საკმაოდ მდიდარი საშუალებები მოეპოვება გამოყენებითი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა რაციონალიზაციისათვის. ამასთანავე, იგი უდიდესი შრომით მოპოვებული ინტერნაციონალიზმის ჩანასახსაც შეიცავს. ქართული ადვილად უნათესავდება და უახლოვდება უცხო წარმოშობის ენას, ადვილად ითვისებს მეზობელი და უცხო ხალხების აზროვნებისა და მეტყველების მიღწევებს. ქართული ენა არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული და ცოცხალი სამწერლობი ენა“.

ქართული ენა ერთადერთი ძველი დამწერლობის მქონე ენაა იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის. ჩვენამდის მოღწეული ადრინდელი სამწერლო ძეგლები V საუკუნეს განეკუთვნება. არის საფუძველი

ვიუიქროთ, რომ ქართული სალიტერატურო ენა უფრო ადრეც არსებობდა. ამას მოწმობს ძველი ქართული მწერლობის პირვანდელი ძეგლების ენის დაზვეწილი სტრუქტურა და ლექსიკის სიმძიდრე, ჩვენამდის მოღწეული პირველი ლიტერატურული ნაწარმოების (476-483წ.წ.) მხატვრული დირსებები.

V საუკუნეშია თარგმნილი ქართულ ენაზე ბიბლიური ტექსტები. მათგან ყველაზე ადრე სახარება ითარგმნა.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პერიოდებია: ძველი (V-XI ს.ს.), საშუალო (XII-XVIII ს.ს.) და ახალი (XVIII-XIX საუკუნიდან დღევანდლამდე).

ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად დაედო ე.წ. ხანმეტური დიალექტი – ქართლის (მცხეთა-ბოლნისის რეგიონი) მეტყველება.

თარგმნილი ლიტერატურის თუ პირადი კონტაქტების გზით ქართულ ენაში დამკვიდრებულია ბერძნული, სირიული, არაბული, არამეტელი, სპარსული, სომხური სიტყვები.

სპეციალური ფილოსოფიური ენის შექმნისათვის იმთავითვე დიდი როლი შეასრულა თეოლოგიური და ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმანებმა. ოანე პეტრიწი (XI-XIII ს.ს.) ითვლება ქართული ფილოსოფიური ენის შემქნელად.

XVIII საუკუნიდან დასაბამი ეძლევა ახალ პერიოდს სალიტერატურო ენის ისტორიაში (სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ენა, საქმიანი დოკუმენტების ენა), მაგრამ ენის ბუნებრივ განვითარებას მთელი ასი წლის განმავლობაში გზა – გადაუღობა ქართული ენის პირველი სრული გრამატიკის ავტორის – ანტონ კათალიკოსის გრამატიკულმა სკოლამ. ანტონმა დანერგა არქაიზებული და ხელოვნური ფორმები.

ილია ჭავჭავაძე პირველი იყო, რომელმაც გაიღაშქრა ენობრივი კონსერვატიზმის წინააღმდეგ და ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების მძიმე ტკირთი იკისრა. მას გვერდში ედგა აკაკი წერეთელი.

ილია ჭავჭავაძის უდიდესი დამსახურება ისაა, რომ მან ხალხური მეტყველება გამოაცხადა სალიტერატურო ენის საყრდენად. ეს იყო რევოლუციური ნაბიჯი.

ახალ სალიტერატურო ენის შენება მოითხოვდა ორთოგრაფიის რეფორმას. ილია ჭავჭავაძემ ზოგიერთი (5) ასო, რომლებიც ძველი ენის ფონეტიკურ სისტემას შეეფერებოდა, მიუღებლად მიიჩნია ახალი ენისათვის. ამის შემდეგ მორგბეულად დაინერგა ომონიმების ხმარება („დაარიგე“ საქონელი, „დაარიგე“

ჰქუა, „ააგეთ“ - ააშენეთ, „ააგეთ“ მწვადი“, „გავეცი“-სხვას მივეცი“, „გავეცი“ პასუხი (ხმა ამოვილეო და ა.შ.).

ილია ჭავჭავაძემ დიდი ამაგი დასდო სალიტერატურო ქართულის ლექსიკური შედგენილობის შევსებას ახალი ცნებებითა და ტერმინებით. მან დამკვიდრა ქართულში ბერი სიტყვა, რომლებიც სამუდამოდ შევიდნენ ენის ლექსიკურ ფონდში. ასეთებია: „შინაარსი“, „აგბაულება“, „სინამდვილე“, „მიმართულება“, „ღირებულება“, „ზეგარდო“, „შთაგონება“, „განყენებულება“, „აღებ-მიცემობა“, „გაკვრით“ და სხვ.

პირველად ილია ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ ქართულ ენაში გვაქვს მთელი რიგი რთული სიტყვები (კომპიტიტები), რომლებშიც მონაწილეობს სიტყვა „დედა-ენა, დედა-ქალაქი, დედა-მიწა, დედა-ბოძი, დედა-ბურჯი, დედააზრი, გუთნისძელა“).

ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავდა: „რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებულია, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი“.

საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის მსჯელობა იმ სიტყვების თაობაზე, რომლებიც შინაარსობრივად გამოიყიტნენ, გაღარიბდნენ და ველარ გამოხატავენ მათში ჩაქსოვილ ცნებას. ამასთან დაკავშირებით იგი ამბობდა: „დადნა საგანი, დადნა სახელიცა“. ასეთი სიტყვებია მაგ. „მამული“, „დედაკაცი“ და სხვ.

ილიას არ გამოჰქმარვია ახლადდაბადებული სიტყვის თუ ტერმინის უკის ადგმის სირთულენიც. საჭირო იყო ზოგიერთ სიტყვათა „მოშინაურება“. ამასთანავე ილია სასტიკად გმობდა ქართული ენის შერყვნას და დამახინჯებას.

ხალხური ზეპირსიტყვერება რომ სათავეა სალიტერატურო ენის ლექსიკონის გამდიდრებისათვის, არასოდეს დავიწყებია აკაკი წერეთელსაც. იგი ამბობდა: „მვირად რომელიმე ხალხი გვეგულება, რომ ქართველებსავით მდიდარი ლექსიკონი ჰქონდეს“. შემდგომში, მეცნიერების განვითარებამ ხელი შეუწყო სამუცნიერო ენის აღორძინებას.

ენის განვითარების ისტორიულ პროცესში, ხალხური ზეპირი სიტყვიერების წიაღში და ცივილიზაციის ეტაპების შესაბამისად აღმოცენდა და განვითარდა ქართული ლიტერატურა, რომლის პირველი სწორუბოვარი ძეგლია „შუშანიკის წამება“ და რომელიც 1500-წლოვან ისტორიას ითვლის.

ქართული ლიტერატურის ისტორია სამ მთავარ პერიოდად შეიძლება დაყოს: მეცნიერებული (V-XVIIIს.ს.), ახალი ანუ ბურჟუაზიული (XIXს.) და უახლესი (XXს.). თითოეულმა ამ პერიოდმა წარმოშვა მწერალთა შესანიშნავი წარმომადგენლები, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი მსოფლიო დონისაა და მსოფლიო ლიტერატურული ნორმების შემქმნელის რანგში წარმოგვიდგება. ამ მხრივ მიუღწეველ ნორმად ითვლება შოთა რუსთაველის „პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ბადალიც იშვიათად მოიძებნება კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე.

#### **4.1.2. ქართული ლიტერატურული ენის ფონბა, ლექსიკა, სტილი და მისი სიცოდის დაცვა**

სიტყვებთან ერთად ენას ქმნის გრამატიკული წყობაც, როგორც არსებითი მხარე მეტყველებისა.

ქართულ წერა-კითხვას ფონეტიკური პრინციპი უდევს საფუძვლად, რის გამოც წარმოთქმასა და წერას შორის შეფარდების მხრივ აქ უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე სხვა ენებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს ქართულად ნაწერი ამსოლუტურად უდრიდეს და ემთხვეოდეს წარმოთქმულს. ეს არც შეიძლება მოხდეს, თუნდაც იმის გამო, რომ ასოები მხოლოდ პირობითი ნიშნებია სამეტყველო ბგერებისა და წარმოთქმის ყველა ნაირობის გამოხატვას ანბანის საშუალებით წერაში ვერ შევძლებთ და არც საჭიროა.

მაშ, ქართულშიც არსებოს განსხვავება წერასა და გამოთქმას შორის, მაგრამ არ ისე ღრმა და მკეთრი, როგორც სხვა ენებში.

ქართულში ასეთი სიტყვებია მაგალითად:

**წარმოითქმის:** **იწკრება:**

მიზდევს	მისდევს
ქქონდა	გქონდა
დაუძახე (მე)	დავუძახე
სახში	სახლში
ბახში	ბაღში
გვერძე	გვერდზე
მზგავსი	მსგავსი
აქეტკვნ	აქეთკვნ

წარმოთქმისაგან საკმაოდ განსხვავებული ფორმები სიტყვებისა სწორია მორფოლოგიური თვალსაზრისით, წერაში ისინი შემოგვინახა სწორედ მორფოლოგიურმა წესმა და პრინციპმა.

მაგრამ ეს პრინციპი ყოველთვის როდი იმარჯვებს. დროთა განმავლობაში ფონეტიკას თავისი გააქვს და წარმოთქმითი ფორმები იქცევა ორთოგრაფიულ ნორმად. ვაჩვენოთ მაგალითი:

<u>წარმოთქმის მიხედვით</u>	<u>მორფოლოგიური</u>
<u>ორთოგრაფიულ (წერილობით)</u>	<u>პრინციპის დაცვით</u>
<u>ნორმად ქცეული სიტყვებია:</u>	<u>უნდა ყოფილიყო:</u>

თაობა	თავობა
მეთაური	მეთავური
თაოსანი	თავოსანი
ტყაოსანი	ტყავოსანი
აქტიური	აქტივური
შიძმილი	სიმშილი
თვრამეტი	თრვამეტი
ცარიელი	ცალიერი
ბეჩავი	ბედშავი

ზოგჯერ წარმოთქმისაგან დაშორებულ სიტყვას წერაში ვიცავთ იმის გამო, რომ არ დაირღვეს და არ დაზიანდეს სიტყვის ძირითადი ნაწილი, უუძე ან ძირი. ამ დროს ჩვენ ვხელმძღვანელობთ, ასე კოქებათ სემანტიკური პრინციპით. ამის შესაბამისად, მაგალითად:

<u>ვწერთ:</u>	<u>წარმოვთქვამთ:</u>
---------------	----------------------

ერთგული	ერდგული
ოცდასამი	ოზდასამი
ვაჟკაცი	ვაჟკაცი
ხელმძღვანელი	ხელძღვანელი
ახალგაზრდა	ახალგაზდა
მხატვრული	მხატრული
ზედსართავი	ზეთსართავი

დღევანდელ სალიტერატურო ენაში, ძველი ქართულისაგან განსხვავებით, საკმაოდ გავრცელებულია სახელთა უუძის კუმშვა.

მაგ. მაჩაბლის, წერეთლის, შადრევნის, ჯვრის, ქარიშხლის, ყავარჯნის, დიღმის, ნატახტრის, ნადიკვრის, წინანდლის, რთვლის და ა.შ.

ზოგიერთი სიტყვა მაკვეცხა. მაგ. ნიუარის და არა ნიუარას, მატიანის ფურცლები (და არა მატიანეს), საცოლისა (და არა საცოლესი), სახრის ნაცვლად (და არა სახრეს) და ა.შ.

საკუთარი სახელების ბრუნვის დროს ზოგჯერ შეცდომას უშვებენ. თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები, როგორიცაა ოთარი, ნოდარი, ვახტანგი, ეთერი, თამარი, ბრუნვისას იქნება: ოთარმა, ოთარს, ნოდარმა, ნოდარს, ვახტანგმა, ვახტანგს...ი-ზე დაბოლოებული სახელები კი ასე იბრუნება: გიორგი-გიორგიმ, გიორგის; აკაკი-აკაკიმ, აკაკის; დიმიტრი-დიმიტრიმ, დიმიტრის და ა.შ.

სტილო გულისხმობს მოლაპარაკის უნარს-ლექსიკური მარაგიდან შეარჩიოს აზრებისათვის შესაბამისი სიტყვა-თქმანი. შინაარსობრივად შეუსაბოს და გრამატიკულად დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს, ააგოს მათგან სხვადასხვა სახის წინადადებები, ე.ი. მონახოს ის ხელსაყრელი ენობრივ-გრამატიკული ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ აზრის ზუსტად, ნათლად და სწორად გადმოცემას. სტილი ენის სიტმინდის დაცვის მძლავრი საშუალებაა.

ზმნა (პირებში ცვალებადი სიტყვა) ყველაზე რთული ნაწილია ქართული გრამატიკისა. მისი სწორად გამოყენება და უღვლელება გადამზტყველ გავლენას ახდენს სტილისტურ გამართულობაზე და მთელ ენობრივ სისტემაზე.

დამოუკიდებელი ენობრივი სტილის გამომუშავებისათვის საჭიროა მოლაპარაკე კარგად ფლობდეს სიტყვათა (ლექსიკურ) მარაგს, რათა ახერხებდეს მის მოხმარებას საჭიროებისამებრ.

ყურადღება უნდა მიექცეს ყოველდღიური სასაუბრო ენის დაუფლებასაც, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს ერთი და იგივე მოსაზღვრე მნიშვნელობის მქონე სიტყვათა, ე.წ. სინონიმთა დაგროვებას. მაგ. ახალგაზრდა თაობის სინონიმებია: ნორჩი, მოზარდი, მომავალი, ახალი თაობა; მოხუცებულობის ძირითადი მნიშვნელობა შეიძლება შემდეგი სიტყვებით გადმოიცეს: ხნიერი, ხანდაზმული, დროული, ჭაღარა, მცხოვანი, დარბაისელი, ბებერი... გაჯავრებულის სინონიმებია: განრისხებული, გაბრაზებული, გაშმაგებული, გააფორებული, გაცეცხლებული, გაცხარებული, გამხეცებული, გაგულისებული, აღმფოთებული, აპილპილებული, გამწყრალი, გააღმასებული, გაავებული და სხვ.

ზეპირი და წერითი მეტყველების სტილს აბუნდოგნებს ჰედ-მეტსიტყვაობა, რის შედეგადაც ვლებულობთ გაჭიანურებულ, პირდაპირ მომახეზრებელ ფრაზებს. უნდა ვერიდოთ ტავტოლოგიასაც

— ერთი და იგივე სიტყვის ხშირი ხმარება ერთსადაიმავე (რთულ) წინადადებაში.

შეცდომად ითვლება სიტყვათა შინაარსობრივი შეუსაბამობაც. მაგ. არასწორია „ღრმად გამოსახავს...“, უნდა იყოს „ღრმად ჩასწოდა“, „ღრმად გააშუქა“. ასევე შეუსაბამოა სიტყვა „როლი“ შემასმენელთან „მოუძღვით“. უნდა იყოს „როლი ეკისრებათ“ და ა.შ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ქართულ ენას ახასიათებს თვლის ოცნებითი სისტემა, რუსულს, გერმანულს და სხვებს—ათობითი, ფრანგულს კი—შერუული. ციფრებით გამოხატვისას ოცნებითი თვლის გადმოცემა ჭირს: წარმოითქმის ოთხმოცდახუთი (4X20 და 5) და იწერება 85, მაგრამ ეს სიძნელეს არ ქმნის.

ქართული ენის სიმღიდიღრეზე მეტყველებს ის, რომ იგი უხვად იყენებს ფიგურალურ სიტყვა—თქმებს, რაც მას ფერადოვნობასა და ულერადობას ანიჭებს. ასეთი სიტყვებია, მაგ. აკრძალული ხილი; ალფა და ომეგა; არც მწვადი დაიწვა, არც შამფური; ბურთი და მოედანი; გედის სიმღერა; დაფნის გვირგვინი; დედაბოძი; ერთი პირი;; თვალსა და ხელს შუა; კაცია და ქუდი ხურავს; კოგზი ნაცარში; კუს ნაბიჯი; მზე შუბის ტარზე დგას; მკვდრის მზე; მშვიდობის მტრედი; ნიანგის ცრემლები; ოლიმპიური სიმშვიდე, ორი კურდლის მდევარი, პირში ჩალის გამოვლება, პირში წყლის ჩაგუბება, საცა შენი თქა, იქ ჩემიც თქვი, სიმწრის ოფლი, უკვდავების წყარო, ურწმუნო თომა, ფიასკო, ქვაკუთხედი, ქუდზე კაცი, შეიცან თავი შენი, შენს პირს შაქარი, ჩალის ფასად, ჩიტის რძე, ცეცხლზე ნავთის დასხმა, ცხრა მთას იქით, წვეთი ზღვაში, წყლის ნაყვა, ჭაპანის წევა, ხელის დაბანა და სხვ.

**წარმოთქმა** ცოცხალი მეტყველების ნიშანდობლივი მხარეა. მეტყველების წარმოთქმის მხარე გაბმულ ბეგროვნობაში მდგომარეობს. ცოცხალი სიტყვა, საერთოდ, ყოველგვარი ცოდნის გადმოცემის, ადამიანის გარდაქმნის, მასზე გავლენის მოხდენისა და წარუშლელი შთაბეჭდილების გამოწვევის აქტიური საშუალებაა.

სიტყვის ჩვეულებრივი ლინგვისტური (გრამატიკული) მახვილი ამთლიანებს სიტყვას, როგორც საწარმოთქმო ერთეულს და ჰქმნის მეტყველების რიტმს. იგი ერთ ან ორ მარცვალს გამოყოფს წინადადებაში ხმის გაძლიერებით ან ამაღლებით. პირველ შემთხვევაში მახვილი დინამიკური იქნება, მეორე შემთხვევაში—ტონური, ანუ მუსიკალური.

ქართულ ენაში სიტყვის მახვილი დინამიურ-ტონური ხასიათისაა. ამავე დროს უძრავი. იგი მოუდის ერთზე მეტ მარცვლოვან

სიტყვებს ბოლოდან მესამე მარცვალზე, ორმარცვლოვან სიტყვებს მეორე მარცვალზე.

ენის მუსიკალობა ხორციელდება სხვადასხვაგვარი მახვილების, პაუზების მოხმარებითა და მათი განაწილების ორგანიზაციით. ყველაფერი ეს ქმნის მუტონაციას.

ცნობილი ფონეტიკონი ლ. შჩერბა აღნიშნავს: „მეტყველების ფრაზებს ახასიათებს მელოდიური მთლიანობა, რომელიც მეტნაკლებად ანალოგიურია მუსიკალური ფრაზებისა“.

გარკვეული მნიშვნელობა აქვს სწორი წარმოთქმისათვის სამტყველო პაუზებს. თუ მახვილები ერთ საწარმოთქმო რიტმიკულ-მელოდიკურ ჯგუფებად ჰკრავენ და ამთლიანებენ სათქმელს, სამაგიეროდ, პაუზები სთიშავენ მათ ერთმანეთისაგან.

საჯარო წარმოთქმის დროს ხშირად მიმართავენ ე.წ. ფსიქოლოგიურ პაუზებს, რაც გამოხატვას მოლაპარაკის ემოციურ განწყობილებას, შემოქმედებით მომენტებს, მსმენელთა ცნობიერებაში თქმულის აღბეჭდვისათვის საჭირო დროს მიცემას, მოლოდინს გამოხმაურებისათვის და სხვა ელემენტებს, რომლებიც საჭიროა მსმენელზე ზემოქმედებისათვის.

ორატორი კათედრასთან აუცილებლად წელში გამართული, მხრებ და მკერდგადაშლილი უნდა იდგეს (ეს პირველი პირობა სწორი სუნთქვის დასაყენებლად), იგი პირდაპირ და შთაგონებით უნდა უმზერდეს აუდიტორიას და არა მარტო სიტყვით, მეტყველების მდინარებით და მუსიკალობით, არამედ თვალითაც ბოჭავდეს მის ყურადღებას. ლაპარაკის დროს ერთი წუთითაც კი არ უნდა ივიწყებდეს დარბაზის შემადგენლობას, ფხიზლად უნდა ადევნებდეს თვალყურს მის მდგომარეობას, სწრაფად უნდა ახდენდეს მსმენელთა შთაბეჭდილებაზე რეაგირებას, განსაზღვრავდეს მის განწყობას და შესაბამისად წარმართავდეს მსჯელობის პროცესს. ამ შემთხვევაში მოლაპარაკესა და მსმენელს შორის იბმება ერთგვარი უხილავი, შემოქმედებითი, ფსიქოლოგიური კავშირი, რაც უზრუნველყოფს საუბრის შინაარსის სიამოგნებით ათვისებას და აღაფრთოვანებს თვით ორატორსაც. ამგვარი ცოცხალი კავშირი ადამიანთა შორის გამორიცხულია მაშინ, თუ ორატორი მხოლოდ კითხულობს თავის ნაწერს და მით ეთამაშება აუდიტორიას, წყდება მას და ტექსტს ეჯაჭვება.

დაუშვებელია მეტყველების დროს ზედმეტი მოძრაობა, სიარული, გადაჭარბებული უესტები, თვალის გაშტერება რაიმე საგანზე, ფანჯარაში ყურება, თვალების დახრა (სიმორცვით ან შეგნებულად). ეს ყველაფერი ფანტავს აუდიტორიის ყურადღებას და გართობის ხასიათზე აყენებს მას.

ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა მეტყველების კულტურას.

#### 4.1.3. ქართული ხალხური სიტყვიერება

ხალხურ სიტყვიერებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ენის განვითარებაში, იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა მოსახლეობის სოციალური ყოფის, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ორიენტაციაზე, შემეცნებითი უნარის ჩამოყალიბებასა და დახვეწაზე, მის მსოფლმხედველობაზე.

ხალხური სიტყვიერება მასების ზეპირი პოტური შემოქმედებაა.

ქართული ხალხური სიტყვიერება მეტად მრავალფეროვანია სოციალური შინაარსით, თემატურად და ჟნრობრივად. იგი შეიცავს სხვადასხვა სახისა და შინაარსის შრომის სიმღერებს, ბალადებს, საგმირო, საყოფაცხოვრებო, ფილოსოფიურ, სატრადიციო, საწესო და მითოლოგიურ პოეზიას, შელოცვებს, შაირებს, ზღაპრებს, გადმოცემებს, მითებს, თქმულებებს, ლეგენდებს, ანევოლებს, ეპიკურ ცოკლებს, სასულიერო-რელიგიურ ლექსებს, საისტორიო ნაწარმოებებს, გამოცანებს, ანდაზებსა და სიტყვის მასალებს.

ხალხური სიტყვიერების არსებითი სპეციფიკური ნიშანი მათი კოლექტიურობაა.

ხალხური შემოქმედება ქართველი ხალხის უძველესი და უმდიდრესი კულტურის საუნჯეა. ქართული ხალხური შემოქმედების მნიშვნელობა სცილდება ეროვნულ ფარგლებს, უაღრესად თვითმყოფ ქართულ ხალხურ შემოქმედებას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, რადგანაც წარმოადგენს უძვირფასეს მასალას სიტყვიერი ხელოვნების ისტორიული ეტაპების გასათვალისწინებლად და შესაფასებლად.

მომხიბელელია ქართული ჯადოსნური ზღაპრების შესავლისა და დასასრულის მზა ფორმულები. ზღაპრის შესავალი, ანუ როგორც მთქმელები ეძახიან—თავი, ასეთია: იყო და არა იყო რა; ღვთის უკეთესი რა იქნებოდა; იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი; ღმერთი მაღალი, კაცი დაბალი.

ეს პომეროსის ჰიმნის შეგავსი რელიგიური ხასიათის ფორმულა ყოველთვის დამოუკიდებელია ზღაპრის შინაარსისაგან.

მაღალ ესთეტიკურ საფეხურზე აყვანილი ქართული ხალხური სიტყვიერების შესრულების ორპირულობა, საგუნდო და საფერხულო ხასიათი მისი არქაულობის მაჩვენებელია. ტექსტის უძველესი კავშირი მელოდიასთან ახლაც იგრძნობა. არიან მოლექსეები, რომელნიც მელოდიის გარეშე ვერ ასრულებენ ტექსტებს.

ხალხურ სიტყვიერებას დიდი შემცნებითი ღირებულება აქვს, ამასთანავე იგი დაუშრეტელი წყაროა ქართული ლიტერატურისა, მისი განვითარების ყველა ეტაპზე.

ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში ასახულია ქართველი ხალხის უდიდესი კულტურა, კაცომლებარეობა, ჰუმანიზმი, სწრაფვა სრულყოფილებისაკენ.

ქართული ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი კლასიკური მაგალითა „ვეფხისა და მოყმის“ ბალადა, რომელშიც გასაოცრად არის დახატული დედის სახე. აი, ისიც: ... სანადიროდ წასულ მოყმეს წინ ვეფხი შემოეყარა,

მოყმე და ვეფხი შეიბნენ და ბრძოლით ჩამოანგრიეს კლდეები. ამ ორთაბრძოლაში ორივე დაიღუპა.

„ვეფხი კლდით გადმოეკიდა,  
ჩამოაწიონა ქვიშანი,  
თავად კლდის თავზე შემოწვა  
მოყმე სულ ამომდინარი,  
ქვიშას მიჰლებას წითლადა  
სისხლი ზედ ჩამამდინარი“.

მშობელი დედა ამაռდ უცდიდა შვილის დაბრუნებას. მან სიზმარში ნახა, რის თქმაც მკითხავ-ქადაგებმა ვერ გაუბედეს. მის გულს სიამაყის გრძნობა ამშვიდებდა:

„ერთი შვილ მაინც გავზარდე ვეფხვებთან მეომარია“.

მოყმის დედა ცხადშიც და სიზმარშიც მოთქვამდა:

„ჩემს შვილს-ხმლით, იმას ტოტითა დღე დაუღამდათ მზიანი“...

მათ დაუხოცავთ ერთურთი, არ დარჩნენ სირცხვილიანი“.

შვილის სიკვდილმა კი არ გააბოროტა და მკვდელისადმი შურისძიების გრძნობით კი არ აღანთო დედა, არამედ თანაგრძნობით განიმსჭვალა მოკლული ვეფხისა და მისი დედის მიმართ, შვილთან ერთად მასაც დასტიროდა და სამძიმარზე აპირებდა წასვლას:

„იქნება ვეფხის დედა  
ჩემზე მწარედა სტირისა,  
წავიდე, მეც იქ მოვიდე,  
სამძიმარ უთხრა ჭირისა“.

ამგვარად, „ვეფხისა და მოყმის“ ბალადაში ასახულია დედის სახე, რომელსაც ახასიათებს უდიდესი კაცომლებარეობა, ჰუმანიზმი და არნახული დედური გრძნობა.

#### 4.1.4. ქართული მშევრებელება<sup>1</sup>

ქართული კულტურის მდიდარ საგანძურს ამშვენებს ჩვენი კლასიკური მჭევრმეტყველება. სულიერი შემოქმედების სხვა სფეროებთან ერთად ქართველმა ხალხმა შექმნა და შემოინახა საჯარო მეტყველების დიდი საუნჯე.

მჭევრმეტყველება ზეპირი ფორმის ხელოვნებაა თავისი სპეციფიკური ბუნებით, მაგრამ საერთოდ ის სიტყვიერი შემოქმედებაა, რომლის სტილისტური სრულყოფისათვის აუცილებელია მისი წერილობითი ფიქსაცია.

ამრიგად, ზეპირი მეტყველების უმაღლესი სახე—მჭევრმეტყველება-ხელოვნებაა, რომელიც ზეპირ სიტყვაკაზმულობას წარმოადგენს და საერთო ხასიათით მხატვრული ლიტერატურის სფეროს განეკუთვნება. მისი შემოქმედებითი მასალა არის ენა.

მჭევრმეტყველების თეორიაა რიტორიკა. ეს არის მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ.

ორატორული სტილის შექმნაში მონაწილეობს სამი ფაქტორი: ტროპული სახე, რიტორიკული ფიგურა და ბერითი კეთილხმოვანება. ტროპული სახის ძირითადი ხერხებია: შედარება, მეტაფორა, ეპითეტი, მეტონიმია, პერიორაზი; რიტორიკული ფიგურის ძირითადი ხერხებია: ანტითეზა, ონვერსია, ანაფორა, შეკითხვა, განმეორება, სინონიმები. ბეგრითი კეთილხმოვანების ძირითადი ხერხებია: რიტმი, ფიქსირებული ფორმის გამეორება, ფიქსირებული ფორმის დარღვევა.

არისტოტელები გამოყო ირატორული სიტყვის შემადგენელი ნაწილები: წინასიტყვაობა, თხრობა, დარწმუნების საშუალებანი და დასკვნა.

მჭევრმეტყველების განმსაზღვრელი მხარეა შესრულება. იგი მოიცავს მეტყველების ტექნიკურ ფაქტორებს, წარმოთქმის საშუალებებს და გამოხატვის გზებს. ყოველივე ეს პასუხია კითხვისა—როგორ სრულდება მეტყველება?

მჭევრი მეტყველების პროცესს უზრუნველყოფს მოცემულ პირობებში, ადგილსა და დროში, შესაბამისი ტონალობა, გამომეტყველებითი თქმა, გამართული ტექნიკური მხარე, ერთი სიტყვით ჯეროვანი შესრულება.

<sup>1</sup> გამოყენებულია - „ქართული მჭევრმეტყველება“ (თბილისი, 1958წ. შედგენილი ნ. კანდელაკის მიერ.

რაგინდ შინაარსიანი და კაზმულიც არ უნდა იყოს ზეპირი სიტყვა, თუ ის მოკლებულია ჯეროვნ შესრულებას, არ ჩაითვლება მჭევრმეტყველებად.

რიტორიკაში მჭევრმეტყველება ყოველთვის დარწმუნების ხელოვნებად ითვლებოდა. ანტიგური ხანის რიტორიკაში ცნობილი იყო, რომ ორატორი თავისი ხელოვნებით მსმენელს ასწავლის, აღელვებს და ატკბობს.

თუ ისტორიას აღვიდგენთ, უნდა ითქვას, რომ ლამაზად და მკვეთრად გაისმის გიორგი მერჩულის ორატორული პასაჟები. მისი ნაწარმოები ერთი განუწყვეტლივ გაბმული კეთილხმოვანი თხრობაა, რომელიც გვხიბლავს მწყობრად გამართული ლალი დინებით. ეს სიტყვაკაზმულობის შედევრია, რომელიც შემქულია ნატიფი სისადავითა და მაღალი უბრალოებით.

ჩვენი ორატორული ხელოვნების სიამაყეა დიდი ორატორის გიორგი მცირის სამგლოვიარო სიტყვა, წარმოთქმული გიორგი ათონელის გარდაცვალების გამო.

გელათის აკადემიაში რიტორიკა ერთ-ერთი აუცილებელი და-სციპლინა იყო. საჯარო მეტყველების ისტორიულ კერად უნდა მივიჩნიოთ ათონის ივერიის მონასტერიც, იყალთოს აკადემიაც.

ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშებს წარმოადგენს დავით ალმაშენებლის (დიდგორის ომის წინ) და თამარ მეფის (შამქორის ომის წინ) სიტყვები მხედრობის მიმართ. აგრეთვე დემეტრე თავდა-დებულის, სულხან-საბა ორბელიანის, გაიოზ რექტორის, ამბროსი ნეკრესელის, სოლომონ ლიონიძის, იოანე ბატონიშვილის, სოლომონ დოდაშვილის, გაბრიელ ქიქოძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის ორატორული სიტყვები, აგრეთვე ზოგიერთ ცნობილ ქართველ ადგო-კატთა სიტყვები.

ყურადღებას იქცევს ხალხური მჭევრმეტყველების ზოგიერთი კერა, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა. ასეთი ცენტრებია: ქართული სუფრა და ქართული სამგლოვიარო რიტუალი.

სასულიერო მჭევრმეტყველების უძველესი ნიმუშები შემორჩენილა ხალხური სადღეგრძელოების სახით. ამ სახის ზეპირი სიტყვი-ერება უხვადაა წარმოდგენილი მთისა და ბარის პოზიში. ამას გარდა, ჩვენი მდიდარი ფოლკლორი ინახავს უამრავ სუფრულ სიმღერას, მოსწრებულ გამოთქმას, დალოცვას. სუფრის ირგვლივ შემოკრების ძველთა-ძველი ჩვეულება, რაც საგანგებო წესრიგით დაკანონდა ჩვენში, საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა არა მარტო შექცევისა და მხიარულების საბას, არამედ საქმიანი საუბრისა და

გონივრული გართობის წყაროსაც, ამიტომაც ამბობენ: ქართული სუფრა აკადემიათ.

ორატორულ ხელოვნებას აქვს საერთო შეხების წერტილები უურნალისტიკასთან, სამწერლო ოსტატობასთან, თეატრალურ ხელოვნებასთან.

უკანასკნელ ხანებამდე ჩვენში ფეხმოკიდებული იყო აზრი, რომ ორატორული ხელოვნება, ორატორული ხერხები—ეს უთუოდ რაღაც ხელოვნური, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი რაღაცაა, თითქოს ეს არის ფორმის აუცილებელი გადაჭარბება შინაარსზე.

რეალურად კი მჭევრმეტყველება ორატორული ხელოვნების ჯაჭვი კი არ არის, არამედ, უწინარეს ყოვლისა იდეების შინაარსი, რომელიც მოლაპარაკის მსოფლმხედველობას წარმოადგენს. ისინი მით უფრო ნათელია, რაც უფრო მომზადებულია ადამიანი, რაც უფრო მდიდარია მისი ერუდიცა. ერთი სიტყვით, მუტყვალება (ისევე, როგორც სტილი) ეს თვით ადამიანია. კლასიკურადაა ქცეული ა. ლუნაჩარსკის მაგალითი, რომელმაც პასუხზე, თუ როგორ ახერხებს ბრწყინვალე სიტყვების მოუმზადებელ წარმოთქმას, უპასუხს: „მე მთელი სიცოცხლე ვემზადებოდი ამისათვის“.

სიტყვის წარმოთქმისას აუცილებელია, რომ ადამიანმა იცოდეს იდეების ორგანიზება, მათი ლოგიკურად სწორად განლაგება, მათი ნათლად, გასაგებად და შინაარსიანად მიტანის ხერხებისა და საშუალებების მონახვა. აი, აქ ჩანს ორატორული ხელოვნება.

მაგრამ, ამ წესებისა და ხერხების შესწავლა, თავისთავად ვერ შექმნის კარგ ორატორს, თუ ადამიანი არ ფლობს ღრმა ცოდნას, თუ არა აქვს სწორი მსოფლმხედველობა.

ასეთი სწავლება უნდა იწყებოდეს სკოლიდანვე.

შურნალის „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და  
ტექნოლოგიები“-ის თემატიკური სტრუქტურული სქემა  
(განყოფილებები)

- I. ზოგადი მიწათმოქმედება—ნიადაგის დამუშავება, ნათესების სტრუქტურა და ნათესების მოვლა, ინტენსიური მიწათმოქმედების სისტემა, თესლ-მცოდნება, პროგრამირებული მოსავლის მიღება.
- II. მემცნარეობა (კერძო მიწათმოქმედება)—მარცვლეული კულტურები, მარცვლეულ-პარკოსანი კულტურები, ბოსტნეული და ბაზეული კულტურები, კარტოფილი, თამბაქო, მზესუზირა, შაქრის ჭარხალი, ეთერზეოვანი კულტურები, საკვები კულტურები და საკვეწარმოების სისტემა, ვაზი, ხეხილოვანი კულტურები, ჩაი, ციტრუსები, სუბტროპიკული ხეხილოვანი კულტურები.
- III. სელექცია, გენეტიკა, მეთესლეობა
- IV. ნიადაგმცოდნება და ნიადაგის განვითარების სისტემა.
- V. მელიორაცია და ირიგაცია.
- VI. მცენარეთა დაცვა და მისი ინტეგრირებული სისტემა.
- VII. მექანიზაცია და ელექტიფიკაცია.
- VIII. აგროსატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები.
- IX. ნიადაგის ეროზია და მასთან ბრძოლის ღონისძიებები.
- X. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები.
- XI. მეცხოველეობის ინტენსიური სისტემები.
- XII. ვეტერნიარულ ღონისძიებათა სისტემა.
- XIII. სოფლის მეურნობის პროდუქციის გადამუშავება და შენახვა.
- XIV. **აგრარული ეკონომიკა და ბიზნესი**  
დარგობრივი და რეგიონული ეკონომიკა; მდგრადი განვითარება; აგრობიზნესი; აგრომარკეტინგი; აგრომენჯმენტი; ინსტიტუციონალური სისტემა და ეკონომიკური მექანიზმი; თეორია და მეთოდოლოგია; ინტეგრაცია და ოპტიმიზაცია; ფინანსები, კრედიტი, ფასწარმოქმნა; საბანკო ურთიერთობები; საგადასახადო სისტემა; სერვისი და ინფრასტრუქტურა; აგროტურიზმი; აგრარული ბაზარი; სასურსათო უსაფრთხოება; სამეურნეო რისკი; პროგნოზირება და მოდელირება; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი; საწარმოორესურსული პოტენციალი; განათლება და მეცნიერება; მეცნიერტევადობა; ინფორმაციური ეკონომიკა; ინვესტიციური გარემო; ეკოლოგია და ბუნებათსარგებლობა; აგრარული სექტორის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ინფორმაციული ტექნოლოგიები და უზრუნველყოფა; საქმიანი ურთიერთობების ეთიკეტი; აგრარული ეკონომიკური ფინანსობრივი მასალები.
- XV. საკონსულტაციო დარბაზი.
- XVI. სადასკუსიო კლუბი.
- XVII. უწყვეტი აგრარულ-ეკონომიკური განათლების სალექციო ციკლი.

- საინფორმაციო მაცნე.  
აგრარული და აგროეკონომიკური ტერმინოლოგია.  
საზღვარგარეთო მეცნიერთა შრომები.  
სხვადასხვა.
- XV. ეკონომიკური თეორია.  
XVI. გლობალიზაციის პრობლემები და გლობალიზაციის ტექნოლოგიები.  
XVII. საბაზრო ურთიერთობები.  
XVIII. ეკონომიკური უსაფრთხოება.  
XIX. ეკონომიკური მეთოდოლოგია და მეთოდიკა.  
XX. სოციალური და დემოგრაფიული პრობლემები.  
XXI. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები.  
XXII. მსოფლიო ეკონომიკა.  
XXIII. საერთაშორისო ორგანიზაციები და კონვენციები.  
XXIV. ადამიანური რესურსები, მისი ეკონომიკა და მენეჯმენტი.  
XXV. ადამიანური ცოდნის საექსპორტო სისტემები და ხელოვნური ინტელექტი.  
XXVI. მოხმარების რაციონალიზაცია.  
XXVII. მთაბანი რაიონების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.  
XXVIII. რეკრეაციული რესურსების გამოყენება.  
XXIX. მეორადი ნედლეულის გამოყენება და უნარჩენო ტექნოლოგიები.  
XXX. ელექტრონული მართვის პრობლემები.

**ამას გარდა უკრნალს აქვს საგანგებო განყოფილებები:**

1. მთავარი რედაქტორის სვეტი.
2. სოფლის მუნიციპალიტეტის დაწესის სახელოვანი მეცნიერები.
3. გამოჩენილი აგრარიკოს-ეკონომისტი მეცნიერები.
4. სიტყვა აკადემიკოსს.
5. კომპეტენტური აზრი.
6. დოქტორანტთა დარბაზი.
7. ბაკალავრთა დარბაზი.
8. ახალგაზრდა მეცნიერის პოზიციები.
9. და სხვა.

## შინაარსი–CONTENTS

	გვ.
<b>1. ეკონომიკა და ბიზნესი- Economics and Business .....</b>	<b>5</b>
ომარ ქეშელაშვილი-გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური რეგულირება .....	5
O. Keshelashvili- Economic Regulation of Environment Protection and Nature-use .....	12
თ.ლაჭპეპანი, დ.ბაიდაური, ლ.ბაიდაური-აგრობიზნესის განვითარების ზოგიერთი საკითხი .....	13
T. Lachkepiani, D. Baidauri, L. Baidauri-Some questions on agrobusiness development .....	17
<b>2. სოფლის მეურნეობის გაძლოლის რეკომენდაციები- Management Recommendations of Agriculture .....</b>	<b>18</b>
ი.სარჯველაძე- მატყლის დამნაგვიანებელი მცენარეები და მათთან ბრძოლა (მეთოდური მითითებები) .....	18
<b>3. უცყველეთი სოავლების დარბაზი-Concant Studying Hall</b> (ო. ქეშელაშვილი, O. Keshelashvili) .....	36
ლექცია 18. ფინანსები და კრედიტი .....	36
18.4. ბიუჯეტი .....	36
18.5. კრედიტი .....	39
18.6. ბიზნესის ფულად-საკრედიტო უზრუნველყოფა .....	40
<b>4. ინტელექტუალური საუბრები-Intectual Converastions</b> (ო. ქეშელაშვილი, O. Keshelashvili) .....	43
4.1. საუბრები ქართულ ენასა და მეტყველების კულტურაზე ....	43
4.1.1. ქართული ენა და მისი განვითარება .....	43
4.1.2. ქართული ლიტერატურული ენის წყობა, ლექსიკა, სტილი და მისი სიწმინდის დაცვა .....	47
4.1.3. ქართული ხალხური სიტყვიერება .....	52
4.1.4. ქართული მჭევრმეტყველება .....	54
<b>შინაარსი–CONTENTS .....</b>	<b>59</b>

**მოთხოვნები დასაბეჭდად წარმოსაღენი სტატიების მიმართ:**

1. სტატიის მოცულობა—5-6 გვ-დე; ნაბეჭდი (LitNusx— 11; 1,0 ინტერვალზე. სათაური LitMtavrPS —11, ფორმატი Pege Setup-ში: Top 1.0; Left 15.8; Bottom 1.0.; Right 1.0;), ერთი ეგზემპლარი და CD-ზე. არ გადატვირთოთ დიაგრამებითა და სქემებით, ცხრილები უნდა იყოს კომპაქტური, ვერტიკალურად ნაბეჭდი.
2. სტატიას უნდა ახლდეს რეფერატი (ინტერნეტული ვერსია—0,5 გვერდამდე) ქართულად და ინგლისურად;
3. სტატია წარმოადგინეთ კვარტლის პირველ თვეს.

## **2017 წლის II კვარტალი**

### **ტექნიკური რედაქცია:**

გ.მოსაშვილი-აკადემიური დოქტორი—ტექნიკური რედაქტორი, ვებ-გვერდის რედაქტორი, კომპიუტერული უზრუნველყოფა, მ.მოსაშვილი, თ. ეპიტაშვილი (ინგლისური ვერსია).

### **ჟურნალის დამფუძნებელი და გამომცემელია**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

### **ჟურნალის გამომცემლები და ფინანსური მხარდამჭერები არიან:**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (პრეზი-დენტი აკადემიკოსი გ.ალექსიძე), შპს-პროფესიონალ კონსულტანტ-თა ჯგუფი (დირექტორი სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი დ.ეგიაშვილი),

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 3,4

პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 3.7